...სიალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 12 სექტემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ... ხით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ ... ящ. 199. Редакція „Эртоба" ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 195 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 195

საქართველოს სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებულნი მე-8 კომისარიატის მსახურნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის უფროს მილიციონერის პორუჩიკ

## ლუარსაბ (ლუკა) ნიკოლოზის ძე თუშაბრამიშვილის

უდროოთ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, თავის ბინაზე (2 თუმანოვის ქუჩა, № 11). დაკრძალვა ხუთშაბათს, 12 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

---

გულდათუთქულნი დედ-მამა დავით ნინიას ძე და მარიამ გაბრიელის ასული ძმები ნიკოლოზ, ვახტანგ, ირაკლი, დები თამარა და ნინო გრატიაშვილები, დიდედა ნინო მძევაშვილი და დეიდა მარიამ გუნდიევისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სექტემბერს 9 ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი ჯარისკაცი ქართულ უნტერ-აფიცრის სკოლისა

## ივანე (ვანიჩკა) დავითის ძე გრატიაშვილი.

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს, ენკენისთვის 12-ს წმინდა ნინოს ეკლესიაში, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან. სუნჟენის ქუჩა, № 13, (11 სამილიციო უბანი).

---

ღრმათ დამწუხრებულნი: ბიძა იოსებ ნინიას ძე, ბიცოლა მართა ივანის ასული ბიძაშვილები: ალექსანდრე, გიორგი, ვასილი და ანნა გრატიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სექტემბრის 9-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი ჯარისკაცი ქართულ უნტერ აფიცრის სკოლისა

## ივანე (ვანიჩკა) დავითის ძე გრატიაშვილი

გამოსვენება დღეს, ხუთშაბათს, ენკენისთვის 12 ს წმინდა ნინოს ეკლესიაში დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან, სუნჟენის ქუჩა № 13 (11 სამილიციო უბანი).

---

## სახელმწიფო თეატრი

ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ნ. ლ. ლევიცკისა,

დასის შემადგენლობა (ალფავიტით)

| | | |
|---|---|---|
| **სოპრანო:** | ზალიპსკი ბ. ი. | სტოლერმანი ს. ა. |
| ვოლ ლევიცკისა ა. ს. | ზვიაგინი ვ. ა. | ჩერეპნინი ნ. ნ. |
| ვიშემირსკაია მ. მ. | კანშინი ა. მ. | ცენოვსკი ა. ა |
| გარინსკაია ლ. კ. | კურბატოვი ა. ფ. | **რეჟისორები:** |
| გედევანიშვილი მ. ვ. | მალჩანოვი ი. პ. | დუმა ლ. ა. |
| ზელინსკაია ფ. ს. | მარკოვი მ. ს. | |
| კალანდაძე-აგასოვისა ო. ს. | **ბარიტონები:** | **თანაშემწე:** |
| მანდენოვა ს. გ. | ბალაბანი ა. ა. | გურესი ა. ა. |
| ორლოვა ფ. ს. | ვრონსკი ე. ა. | ფიჩხულოვი კ. ნ. |
| განნა-სკვორეცკაია გ. ლ. | ზუბარევი ნ გ. | **სუფლიორები:** |
| ფირსოვა ა. ნ. | ინაშვილი. ა. ი. | ნიკოლაევი ნ. ი. |
| შვამბერგი ტ. ა | ორდა ტ. ს. | ტელერი ი. ა. |
| **მეცო-სოპრანო:** | ეზროვი ნ. ს. | |
| ვლადინა ვ. ს. | **ბანები:** | **ხორმეისტერები:** |
| დობროვოლსკაია ვ. ი. | დემიანენკო ა. ა. | კოროშონი ვ. ა. |
| მოროზოვა ო. კ. | ისეცკი ლ. ნ. | |
| ოვსიანნიკოვა ლ. ა. | ორლოვი ნ. ნ. | **თანაშემწე:** |
| სპიტკო ე. ა. | ნიკოლსკი ვ. ა. | ფულიაშვილისა ი. პ. |
| იანსა მ. ა. | საბინინი იუ. დ. | **კონცერტმეისტერები:** |
| **ტენორები:** | **დირიჟორები:** | სიბინ გუს ე. დ. |
| ბერეზინი ვ. მ. | სამოსუდი ია. ა. | სოკოლოვისა ლ. ა. |

ბალეტმეისტერი ვოკარეცი ს. ფ. პრიმა-ბალერინა ბაჟერსაკს მ. ე. ორკესტრი 48 კაცი. ხორი 60 კაცი. ბალეტი. 24 კაცი—სოლისტი ორკესტრის გუზიკოვი. სამხატვრო განყოფილების გამგე მხატვარი ა. ა. ზალცმანი.

## სეზონი გაიხსნება

კვირას, სექტემბრის 15 ს, სექტემბრის 16-ს „ტანჰეიზერი", სამშაბათს „რიგოლეტო", ოთხშაბათს „ცარსკაია ნევესტა". კასსა ღიაა სექტემბრის 10 დან, 10—4 და 5—8 ს (1—1)

---

## საერთაშორისო დემოკრატია

იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობები ზავის გარშემო ალაპარაკდენ. გაზეთების სიტყვით გერმანიამ ოფიციალურად უკვე განაცხადა, რომ იგი დასავლეთისაკენ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვს და მზათ არის ასეთი ზავის პირობებით საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე წარსდგეს.

ინგლისის მთავრობაც ასე თუ ისე გამოეხმაურა და გერმანიის კოლონიების განთავისუფლება ალიარა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენათ გულწრფელია ზევით დასახელებული მთავრობების განცხადება, მხოლოდ ეს კი ეჭვს გარეშეა: მათ გარშემო შეიქნა ისეთი ძალა, ისეთი ძლიერი მიმდინარეობა, რომელიც იმპერიალისტურ მთავრობებს იძულებულს ხდის კაცობრიობის გამანადგურებელ ომს ბოლო მოუღონ.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო დემოკრატია მსოფლიო ომის დაწყებამდე იმდენათ შეკავშირებული და მომზადებული არ გამოდგა, რომ მას შესძლებოდა ომის შეჩერება, მისი დასაწყისშივე ჩაქრობა. კაპიტალისტური სახელმწიფოები მსოფლიო ომისთვის ემზადებოდენ. წარმოების პირობები, ზედმეტი საქონლის დამუშავება აქეთ მიაქანებდა მათ. ომის საშუალებით სურდათ ბაზრების ხელში ჩაგდება.

საერთაშორისო დემოკრატია და მისი მეთაური მუშათა კლასი მთელი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში იმპერიალისტურ მთავრობას მედგრად ებრძოდა, სამხედრო ბიუჯეტს მხარს არ უჭერდა, მილიტარიზმისა და მარინიზმის წინაამდეგ სასტიკ აგიტაციას ეწეოდა, მაგრამ ბურჟუაზიული კლასები და მათი მთავრობები უფრო ძლიერები გამოდგენ, ვიდრე დემოკრატია და მათ მსოფლიო ომი დაიწყეს.

საზოგადოთ ომი დ განსაკუთრებით კი მსოფლიო შეჯახება ისეთი საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და საზოგადოებრივ შემეცნებას არყევს და მისი საბოლოვოთ გარკვევა ძნელი საქმე ხდება. ამასთან, საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდ არევ-დარევას იწვევს. არ ყოფილა ისეთი ომი, რომელსაც სოც ალდ. მოკრატიულ წრეებში შეხედულებათა სხვადასხვაობა არ დაებადა.

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თანამედროვე ომმა მსოფლიო დემოკრატიის შორის. აზრთა სხვადასხვაობამ დაასუსტა საერთაშორისო დემოკრატიის ორგანიზაცია, მისი შეთანხმებული მოქმედება, რითაც დიდათ ისარგებლეს იმპერიალისტებმა.

მაგრამ დემოკრატიის დროებით დამარცხება მის საბოლოვო განადგურებას არ ნიშნავს. ეს დამარცხება მისთვის საუკეთესო გაკვეთილი გამოდგა. რაც დრო გადის, იმდენათ იგი ძალას და ენერგიას იკრებს.

შეუძლებელია ეს ასე არ მომხდარიყო. მსოფლიო ომი მას მთელი თავისი სიდუხჭირით თავს დაატყდა. ის საერთაშორისო დემოკრატიის ხარჯზე სწარმოებს. ეკონომიური ცხოვრების მოსპობა, კულტურის განადგურება აუტანელი გახდა. ყველგან დიდი უკმაყოფილებაა. მონარქიული გერმანია გადემოკრატებულა. ფართო მასსა და წვრილი ბურჟუაზია უკმაყოფილოა. მას ომის ხარჯები და სიდუხჭირე ველარ აუტანია. უკეთეს მდგომარეობაში არც შეთანხმების სახელმწიფოთა დემოკრატია იმყოფება. იქაც საერთაშორისო დემოკრატიის ხმა მედგრათ გაისმის და ამ მოვლენას არ შეიძლება იმპერიალისტურმა მთავრობებმა ანგარიში არ გაუწიონ. დღეს ომი სახალხო ომია და წარმოუდგენელია ხალხის ხმა და უკმაყოფილება უყურადღებოთ იქნას დატოვებული.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ და ამ თავიდანვე ვსთქვათ, თუ საერთაშორისო დემოკრატია რა პრაქტიკულ ნაბიჯებს გადასდგამს ომის წინაამდეგ, სოც. რევოლიუცია, რომელზედაც რუსეთის ბოლშევიკები და მათი ამყოლ დამყოლნი ოცნებობენ ჩვენის აზრით ნაადრევია. თვით მეომარ სახელმწიფოების, ევროპის პროლეტარიატის საუკეთესო ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ სოციალური რევოლიუცია ამ ჟამად მოუხერხებელი საქმეა.

ორგანიზაცია, პროლეტარული კავშირი ომის მსვლელობის გამო, როგორც ვამბობდით, საგრძნობლათ დასუსტდა. პროლეტარიატი ამ ჟამად მზად არ არის ძალა უფლება ხელში ჩაიგდოს და თავისი დიქტატურა გამოაცხადოს. კარლ კაუცკის მთელ თავის უკანასკნელ ნაწერებში შემდეგი აზრი აქვს გატარებული; საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება იმ სახით უნდა მოხდეს, რა სახითაც კარლ მარქსს აქვს ეს აღნუსხული თავის უკვდავ ნაწარმოებ კაპიტალში. ამ გვარივე შეხედულება გამოსთქვა დაახლოვებით შეიდემანმა.

განზრახულ სტოკჰოლმის კონფერენციის დაბრუნების შემდეგ მან ვრცელი წერილები მოათავსა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ და ხაზ გასმით აღნიშნა: ინტერნაციონალურ მუშათა კლასს ჯერ კიდევ ბევრი სტადიები აქვს გასავლელი სოციალიზმის დამყარებამდისო, შეიდემანი ყოფილი მუშაა. იგი კარგად იცნობს პროლეტარიატის სულისკვეთებას.

ერთი სიტყვით, ევროპის პროლეტარიატი და საზოგადოთ დემოკრატია ჯერ-ჯერობით პოლიტიკურ დიქტატურაზე არ ფიქრობს და საზოგადოებრივ პირობების გამო ის ნაადრევად მიაჩნია.

რასაკვირველია, არც იმის თქმა შეიძლება გადაჭრით, თუ რა მოხდება ხვალ, მაგრამ დღევანდელ პირობებში პროლეტარიატის დიქტატურა ნაჩქარევი იქნება.

მხოლოდ ერთი რამ არის სწორი და უეჭველი: ვიდრე სოციალიზმი განხორციელდებოდეს, საერთაშორისო პროლეტარიატმა თითქმის დემოკრატიის ყველა საკითხები უნდა გადასჭრას. უკანასკნელი დღეს კიდევ დიდ როლს თამაშობს და მისი მრავალი საჭირ ბოროტო საკითხები დადებითად არ არის გადაწყვეტილი. მის მთავარ მოთხოვნებათა შორის ომის სიმწვავეს დიდი ადგილი უკავია. მის გათავებაში ისევე დაინტერესებულია დემოკრატია, როგორც თვით მუშათა კლასი. ორივენი ამ ჟამად ხელიხელ ჩაკიდებული მიდიან და ხმა შეწყობილათ მსოფლიო ომის მოსპობას მოითხოვენ.

ეს ისეთი მედგარი ძალაა, რომელსაც იმპერიალისტებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

საერთაშორისო დემოკრატია მსოფლიო ომის გამო ეკონომიურათ, კულტურულათ ნადგურდება და რაც დრო გადის, მის წინაამდეგ მწყობრათ ირაზმება. ომის გათავება საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა და იგი ამისთვის მომწიფებულია და კიდეც შეიძლება ბოლო მოუღოს მას.

## კოოპერატივთა ყრილობისთვის

ქალაქთა კავშირის შემდეგ ყრილობას იწვევს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი. ეს დაწესებულებაც მთელ სამ სახელმწიფოს ტერიტორიას ფარავს. მისი მდგომარეობა, როგორც კერძო საზოგადოებრივ ორგანოების, უფრო უკეთესია, ვინემ ქალაქების ეს უკანასკნელნი სახელმწიფო ორგანიზმის ნაწილს შეადგენენ და მის ერთ-ერთ ორგანოთ ითვლებიან. მაშასადამე, მათ არ შეუძლიათ თავის სახელმწიფოს საერთო პოლიტიკას და მოქმედებას ანგარიში არ გაუწიონ. საერთაშორისო კავშირი მათი ამ მხრივ უფრო გაძნელებულია, ვინემ კოოპერატივებისთვის. ამ უკანასკნელთ აერთებს მხოლოდ ეკონომიური ინტერესები მომხმარებლის და წმინდა ეკონომიური ურთიერთობა, როგორც მასსიურ მყიდველების.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ საერთო ცენტრის არსებობას და საერთო საწყობებს აქაც არ დაედვას წინ არა მცირედი დაბრკოლებანი. მაგ., შეიძლება სახელმწიფომ, სადაც ცენტრალური საწყობი იქნება, უბრალოთ არ გაუშვას საქონელი იმავე კავშირის წევრ-კოოპერატივში, რომელიც მეორე სახელმწიფოში არსებობს. ეს უკანასკნელი კი ამ შემთხვევაში იძულებული გახდება თვით შეიძინოს საქონელი იქ, სადანაც უფრო იაფათ დაუჯდება და ასე ცენტრს ჩამოშორდეს. ამ რიგათ ძალა უნებურად უპირველეს როლს დაიჭერს თვითეულ სახელმწიფოს ფარგლებში არსებული შეერთება კოოპერატივებისა, იგი გახდება ნამდვილი ცენტრი და კოორდინატორი ამ სახელმწიფოს ყველა კოოპერატივების, მიმწოდებელი მათთვის საქონლის და მომწყობი მათი საქმეების. საერთაშორისო კავშირი კი უფრო ვიწრო ფარგალში მოექცევა.

არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს გარემოება არ შეაფერხებს კოოპერატივთა განვითარების საქმეს. მეორე ასპარეზი ვერაფერი სახეირო სამოქმედოა ეკონომიურ სფეროში. ეს ითქმის საერთოთ წარმოებაზედაც და მით უმეტეს კოოპერატივზე. მაგრამ ეს საერთო ბედია ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობის. პატარა ერს დიდი ფრენა არ უწერია და ეს უნდა კარგათ დაიხსომონ კოოპერატივის მოღვაწეებმა.

კოოპერატივების მდგომარეობას და მათ კავშირს მეტათ ხელს შეუწყობს, თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის ეკონომიურ სფეროში მაინც დამყარდა ერთგვარი კონტაქტი და მთლიანობა. მაგრამ ჯერ ეს საქმე მოუწყობელია, მიუხედავათ იმისა, რომ ამიერ-კავკასიის ერთა საერთო ეკონომიური ინტერესები გადაჭრით თხოულობენ ასეთ შეერთებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავშირები დღევანდელ რთულ პირობებშიაც სავსებით შესძლებენ მთელ თავის ენერგიის ამუშავებას და დღევანდელ უმაგალითო სიძვირის ხანაში ოდნავ მაინც შეუმსუბუქებენ ხალხს საშინელ მდგომარეობას.

## პრესა

ვინც საგაზეთო ჭორებს სარწმუნო წყაროთ ღებულობს, იმისთვის სტამბოლის კონფერენცია უკვე გახსნილია.

ჭორად მოტანილ ცნობას ეყრდნობა ადგილობრივი რუსული „ედინენიე", ვინაიდან ეს მისთვის ხელსაყრელია. მისთვის სასიხარულო ამბავს ეს გაზეთი ასე გადმოგვცემს:

„წარსულ კვირაში ყურადსაღებ მოვლენად უნდა ჩაითვალოს რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლების მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უარყოფა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ბოლშევიკური რუსეთის შეხედულებაა ამიერ კავკასიის საქმეებზე. ამ გვარივე შეხედულებისა იქნებოდენ ამ საკითხის შესახებ მონარქისტული გინდ სოციალისტური რუსეთის წარმომადგენლებიც რომ ყოფილიყვნენ კონფერენციაზე".

რა მოსაზრებით იქნებოდენ ამგვარი შეხედულებისა ამიერ-კავკასიაზე? გაზეთის თქმით

„ამის მიზეზია ქართული ნაციონალისტური პრესის მეტის-მეტად გამომწვევი კილო. ამ პრესის გავლენით ქართული სოც. დემოკრატიული პრესა სტოვებს თავის წინანდელ პოზიციას და განხეთქილებას ჰქმნის რუსთა სოციალისტურ რაზმში".

ის, რაც თურმე ამ ჟამად საქართველოში ხდება, არ შეიძლება მოხდეს რომელიმე კულტურულ ქვეყანაში. გაზეთი ასე გამოსთქვამს ამ აზრს:

„მუდმივი პროპაგანდაა ისეთი იურიდიულ შემეცნებათა და ისეთ პოლიტიკურ საგნებზეა მსჯელობა, რაიც არ შეიძლება შეთვისებულ იქნას ცოტად თუ ბევრად კულტურულ ქვეყანაში".

რუსული ყველაფერი შებღალულია და ფეხთ ქვეშ ითვლება თურმე საქართველოში, ამიტომ, გაზეთის სიტყვით, გასაკვირველი არ არის, თუ რუსის საზოგადოება ყოველივე ქართველს უარყოფით ეპყრობა და ხშირად ეს უარყოფითი დამოკიდებულება გადადის ქართველების წყალობით ამიერ კავკასიის სხვა ერებზედაც.

ჩვენ არ ვიცით ამ გაზეთის სახით რა ჯურის ხალხთან გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც საინტერესოა ვიცოდეთ,—რას გვიმეტებს ეს ხალხი ჩვენთვის. ამიერ-კავკასიის გაერთიანება რუსეთის ან სხვა ძლიერი სახელმწიფოს მეთაურობით უნდა მოხდეს თურმე:

„შემდეგ ჩვენ უდავოთ შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ამიერ-კავკასიის ერთა უფლება კულტურული ავტონომიისა, შინაური პოლიტიკური თვითმოქმედების უზრუნველყოფით".

ამიერ-კავკასიის გაერთიანება „სხვა ძლიერი სახელმწიფოს მეთაურობით" ეს, ჩვენის ფიქრით, გაზეთის მხოლოდ ლამაზი სიტყვებია, ნამდვილად კი, ამ ხალხის აზრით ამიერ-კავკასიის გაერთიანება უნდა მოახდინოს რუსეთმა. და თუ ეს აგრე მოხდება რაშიც ჩვენ არაფრით დარწმუნებული, უნდა გამოვემშვიდობოთ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს თუ გინდ რუსეთს მეთაურებათ გაუხდენ. მონარქისტები კა არა, „უაღრეს სოციალისტებათ" წოდებულნი სოციალისტ-რევოლიუციონერები!..

ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ს. დ. საოლქო კომიტეტის ცენტრალურ კომიტეტისადმი მიმართულ წერილის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკი იყო სომხების დაცვაზე, სომეხთა უბედურობის დამტირებელნი საქართველოს ს. დ. პარტიის ბელადების წინაამდეგ სააგიტაციო მასალად გამოიყენებდენ აგრე იქცევა „კავკაზსკოე სლოვო". დაპირება კარგი იყო, მაგრამ, აბა, რა მისცეს სომხებს ჟორდანიამ, წერეთელმა ან დამოუკიდებელმა საქართველომ.

საქართველომ სომხებს მისცა ის, რის მიცემაც მის ძალ ღონეს არ აღემატებოდა.

200 ათასამდე სომეხი ხომ ცხოვრობს მშვიდობიანათ სომეხ ნაციონალისტების მიერ ყბად აღებულ დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიაზე!

რამდენიმე ათი ათასმა ლტოლვილმა სომეხმაც ხომ ჰპოვა საქართველოს ტერიტორიაზე თავშესაფარი!

ფულად დახმარებაც ხომ აღმოუჩინა ამ ლტოლვილებს მთავრობამ და სხ.

ეს შესძლო მხოლოდ საქართველომ ჯერ ჯერობით.

საქართველომ ვერ შესძლო ყველა ლტოლვილ სომეხთა მიღება, ვინაიდან ასეთ პირობებში თვით საქართველოს მკვიდრთ უნდა აეკიდათ გუდა ნაბადი და ლტოლვილნი გაზხდარიყვნენ!

ფულად ც დი დახმარება ვერ აღმოუჩინა საქართველომ ლტოლვილებს თავის ცარიელი ხაზინიდან!

მთელი სომხეთის განთავისუფლებას ოსმალეთისაგან საქართველო ვერ დაისახავდა მიზნად და ვერც შესძლებდა ამას!

რა გააკეთეს სომხის ნაციონალისტებმა, სომხის ბურჟუაზიამ? არაფერი, გარდა იმისა, რომ მიმართავდენ მოწოდებით ყველა ერებს, სახელმწიფოებს და უსისიანებდენ სომხის ხალხს საქართველოს წინაამდეგ!..

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

11 სექტემბერი.

**ბერლინი.** მტერის რამდენიმე შემოტევის შემდეგ ჩ უვარდა ხელში მერვეთან და იპრთან ჩვენი სანგრები. პერონ კამბრეთან გრძელდება ინგლისელების შემოტევა. უმთავრესი ძალები გუზირკურთან მოქმედებენ იერიშები მოვიგერიეთ. განახლებული იერიშები გავრიკურთან და პერონ კამბრესთან ინგლისელებისა მოვიგერიეთ. ბრძოლა გრძელდება უაზთან, ელტთან და ენთან საარტილერიო ბრძოლაა. მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ. თავი ისახელეს ბრანდერბურგის გრენადერებმა. ფრანგების შემოტევა ენთან მოვიგერიეთ. აღმოსავლეთით რეიმსთან და სამხრეთით პარისთან ლოტარინგიის ფრონტზე ჩვენ რამდენჯერმე შევუტიეთ მტერს და გავიმარჯვეთ.

**პარიზი.** ფრანგების ჯარები, მიუხედავათ გერმანელების სასტიკი წინააღმდეგობისა განაგრძობენ წინ სვლას. ფრანგებმა გაიარეს ბინაკური, სადაც მოვიგერიეთ მტრის კონტრიერიში. მთელს გზაზე ლაფერიდან კვენტინამდე ბრძოლაა გაჩაღებული. სოფ. ტრავერი ფრანგებს უკავიათ. უაზის სამხრეთით, ლიაფფოს მიდამოებში გერმანელთა კონტრიერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე ვეთან მოვიგერიეთ გერმანელთა ორი კონტრ იერიში.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. კანტი კუნტი საარტილერიო სროლაა. იერიქონთან ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მტრის ბანაკს. აფრიკაში ბგვისტოს თვეში მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ ბომსთან ორჯერ. სხვა ფრონტზე საარტილერიო სროლა გრძელდებოდა.

**ვენა.** იტალიის ფრონტზე მზვერავი რაზმების მოქმედება.

**ბერლინი.** „კიევ. მისლი" იუწყება, რომ მოსკოვში მოვიდა გენ. ბრუსილოვიო. (დამოწმებულია).

დონის ოლქის ნაციონალური კრების საიდუმლო სხდომაზე შინაური პოლიტიკა ატამანისა მოწონებულ იქნა და მისი ყველა მოქმედებანი დადასტურებული.

მოსკოვიდან მიღებულ ცნობით მოკვლის განზრახვით თავს დაესხენ სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარს პოდვოისკის. მისი მატარებელი დაიმსხვრა. პოდვოისკის მდგომარეობა სახეირო არ არის.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ერთი საყურადღებო მინდობილობათაგანი, რომლის გამო ბერლინში იყო გაგზავნილი რწმუნებული, იყო გერმანიის მთავრობისათვის დონის ოლქის ვითარების გარკვევა.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

10 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

**კანონ პროექტი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.**

მსჯელობა და მუხლობრივი განხილვა ამ კანონ პროექტისა წინა სხდომაზე დამთავრდა, ხოლო, რადგანაც სხდომის ბოლოს კვორუმი არ აღმოჩნდა, კენჭი არ უყრიათ.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა ნაც. დემოკრატების წინადადებას, რომ სომხებს 10 წარმომადგენლის მაგივრად მიეცემოდათ 6. საბჭომ ეს წინადადება უარყო.

**გ. ქიქოძეს** (ნ. დ.) წინადადება შეაქვს, რომ ისრაელებს სულ არ მიეცეს წარმომადგენლობის უფლება.

წინადადება უარყოფილ იქნა.

**ს. კედია** (ნ.-დ.) მოითხოვს, რომ არც ებრაელებს მიეცეს წარმომადგენლის გამოგზავნის უფლება, რადგანაც ისინი მიღებულ მეტრზე (20 ათას კაცი) ნაკლები არიან.

საბჭომ ეს წინადადებაც უარყო.

**რ. გაბაშვილს** შეაქვს წინადადება, რომ ის სომხები და ოსები, რომელნიც

ს. დემოკრატიული სიით არიან გასულნი საბჭოში, ჩარიცხულ იქნან იმ მიღებულ 10 (სომხ.) და 2 (ოსებ.) რიცხვში.

მომხსენებლის განმარტების შემდეგ ეს წინადადებაც ხმის დიდი უმეტესობით უარყოფილ იქნა. ამრიგათ საბჭომ მიიღო მთელი კანონ პროექტი, რომლის ძალით ეროვნული საბჭო შევსებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა შემდეგი წარმომადგენლობით: სომხ.—10, თათრებს—4, აფხაზებს—3, რუსებს—2, ქართველ ისრაელებს 2, ებრაელებს—1, გერმანელებს—1 და ბერძნებს—1.

**ხ. კეიდია.** საჭიროა ეხლა ვიქონიოთ მსჯელობა თუ რომელ ენაზე უნდა ილაპარაკონ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, ეს წინასწარ უნდა გადაწყდეს, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული თუ როგორი წარმომადგენელი გამოგზავნოს ეროვნულ უმცირესობამ საბჭოში.

**თავმჯდომარე:** ეს საკითხი დღიურ წეს-რიგში არ არის შეტანილი. თუ ნებას მომცემთ შემდეგ სხდომაზე შევიტან დღის წეს რიგში და მაშინ ვიქონიოთ ამაზე მსჯელობა, კეიდია თანახმაა.

**კანონ-პროექტი საფოსტო და სატელეფონო გადასახადის ტარიფის გადიდების შესახებ *).**

ამ საკითხე მოხსენება გააკეთა პ. ქავთარაძემ. საბჭომ ეს კანონ-პროექტი მიიღო იმ შესწორებით, რომელიც შეიტანა ს.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით **რ. არსენიძემ.** შესწორება ასეთია: პირველ მუხლში კანონ-პროექტს უნდა დაემატოს: 1 ივლისიდან 1918 წ. ხოლო მე-2 მუხლს დაემატოს: 1 ოქტომბრიდან 1918 წ., პირველი დამატება გამოწვეულია იმით, რომ სატელეფონო გადასახადს იხდიან ექვს თვეში ერთხელ და თუ 1 ივლისიდან არ იქნა, მაშინ ბუღალტერია ძნელი საწარმოებელი იქნება, მეორე დამატებაც ამავე მოსაზრებით იქნა შემოტანილი: თვის პირველ რიცხვიდან უფრო ადვილი და იოლი საწარმოებელია ანგარიში, ვინემ თვის შუა, ანუ ბოლო რიცხვიდან.

**კანონ-პროექტი სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ.**

**მომხ. ი. ბარათაშვილი** აღნიშნავს, რომ სპეკულიაციას საზღვარი არა აქვს, საოცარი სისწრაფით იწევს ფასი, როგორც პირველ საჭიროების, ისე სხვა საგნებზე და თუ მთავრობამ სასტიკი ზომები არ მიიღო ამის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივ შემოქმედებას ძირს გამოუთხრის და ჩვენ დამოუკიდებლობას ჩაკლავსო. მომხ. აღნიშნავს აგრეთვე იმ ზომებს, რომელსაც უკვე მიმართა მთავრობამ—სპეკულიაციასთან საბრძოლველად. განსაკუთრებული რაზმი დაარსა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხ., მაგრამ საჭიროა სასამართლოც ჩაერიოს ამ საქმეში და უსასტიკესი სასჯელი შემოიღოს იმ პირთათვის, რომელნიც შენიშნულ იქნებიან სპეკულიატიურ საქმეებში. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ პროექტი, რომლის ძალით სპეკულიანტები დაისჯებიან 1 წლიდან 10 წ. კატორღით.

**გ. გველესიანი** (იუსტიციის მინისტრის ამხანაგი) აცხადებს იმ მოსაზრებებს და დებულებებს, რომელიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილ კანონ-პროექტს. კანონის ძალით დაისჯება ის, ვინც ხელს უწყობს სპეკულიაციას, იცის და ხელს აფარებს დამნაშავეს, დაისჯება როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი. სასტიკად დაისჯებიან ის თანამდებობის პირნი, რომელნიც ამ კანონს ჯეროვანად არ შეასრულებენ. დამნაშავეთ სჯის არა მომრიგებელი მოსამართლე, არამედ ოლქის სასამართლოს უფროსი. სპეკულიაციის საწინააღმდეგოთ გარდა იმ სასჯელისა, რომელიც მომხსენებელმა დაასახელა, არის კიდევ ასეთი სასჯელი: კონფისკაცია საქონლისა, ჯარიმა ასი ათას მანეთამდე, ვაჭრობა-მრეწველობის უფლების ართმევა ან დროებით, ან სამუდამოთ და სხ.

**ა. ახათიანი** (ნ. დ.) აღნიშნავს იმ ზომებს, რომელიც უკვე მიიღო მთავრობამ სპეკულიაციის საწინააღმდეგოთ და ამბობს, რომ ამ ზომებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. სპეკულიაციასთან საბრძოლველად დაარსებული საგანგებო რაზმი ძალიან ცოტას აკეთებს და ხშირათ შეცდომებსაც სჩადის. ის გზა, რომელსაც ადგია მთავრობა და რომელითაც ფიქრობს აგრეთვე იურიდიული კომისია სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლას სპეკულიაციას ვერ მოსპობს, პირიქით გააძლიერებს მას. როცა საქონელი ადგილობრივად ცოტა არის, ხოლო გარეშე ქვეყნებიდან მის შემოტანაზე არ ზრუნავენ, შეუძლებელია სპეკულიაციის მოსპობა. საჭიროა ფართე ეკონომიური შემოქმედება, ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება სამეურნეო, ან საქარხნო მუშაობის გაჩაღებით და მხოლოდ მაშინ მოისპობა სპეკულიაცია.

**მ. მაჩაბელი.** (ნ. დ.) ეს კანონი გლეხების წინააღმდეგ არის მიმართული და შეიძლება ცუდი შედეგი მოიტანოს. როცა მემამულეებს მიწა ჩამოართვით და გლეხებს გადაეცით, მაშინ უნდა მიმხვდარიყავით, რომ ეს ასე იქნებოდა: გლეხების ხელში პური დაგროვდებოდა და ის მას არ გაყიდდა (რადგანაც დღეს მას ფული არ სჭირია, მას უნდა საქონელი, მანუფაკტურა). მიწის მემამულეებისაგან ჩამორთმევამ და გლეხებზე გადაცემამ ხომ ხედავთ ანარქია გამოიწვია (ს. დ. სკამზე სიცილია) ასეთ ანარქიას გამოიწვევს ეს კანონიც. საჭიროა მთავრობამ მოაწყოს საქმე ისე, რომ პური თვითონ მიაწოდოს მცხოვრებთ იაფ ფასებში, მაგ. როგორც ამას დღეს ქალაქთა კავშირი შვრება. შემდეგ ორატორი ეხება იმ საგანგებო რაზმს, რომელიც არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამბობს, რომ ისინი ჯერ გაწვრთნილი არ არიან, ჯერ უნდა მოამზადოთ, გაწვრთნათ ჯარი და შემდეგ შეიძლება მისი საქმისათვის გამოყენებაო.

**რ. არსენიძე.** (ს. დ.) თავდაპირველად მეც ეჭვი შემდიოდა შეიძლება ეს ზომები ისეთი იყოს, რომ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინოს, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ეჭვი გადამეტებული ყოფილა. აქ ხომ კანონმა უკვე მწვავე გამოხმაურება გამოიწვია. იგიო, გვეუბნებიან, ვერ დასჯის ყველა სპეკულიანტსო. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი სახელმწიფო, სადაც ყველა ბოროტ მოქმედი დასჯილიყოს, თუმცა სათანადო კანონები არსებობენ. ავაზაკების, ქურდების და სხვა დამნაშავეთა შესახებაც არსებობს კანონი, მაგრამ ზოგიერთი ავაზაკი და ქურდი ამ კანონს თავს დააღწევს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კანონს გავლენა არ ქონდეს დანარჩენებზედაც. შეიძლება სპეკულიაციის კანონსაც დააღწიოს ზოგიერთმა დამნაშავემ თავი, მაგრამ, როცა სპეკულიაციისა გამო სასტიკი სასჯელი იქნება შემოღებული, მაშინ ეჭვი არაა, რომ კანონი გავლენას მოახდენს და დანაშაული შემცირდება. აქ მომხსენებელმა და მინისტრის ამხანაგმა სპეკულიაციის საშინელი სურათი გადაგვიშალეს. არ შეიძლება სპეკულიაცია უდიდეს დანაშაულად არ ჩაითვალოს და მის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნას მიღებული. აქ ნაც.-დემოკრატების ორატორები მოგახსენებდენ, რომ ჯერ შექმენით ნორმალური პირობები, გააჩაღეთ ეკონომიური ცხოვრება, ვაჭრობა-მრეწველობა თავის კალაპოტში ჩააყენეთ და შემდეგ კანონებიც გამოეცით და ყველაფერიო. ეს დებულება ყოვლად შეუწყნარებელია. განა შეიძლება ნორმალური პირობების შექმნა საქართველოში მაშინ, როცა ირგვლივ არა ნორმალური პირობებია? საქართველო დღეს წააგავს ისეთ ციხეს, რომელიც რკალივით გარს შემორტყმულია და არსად გასავალი აღარა აქვს. ასეთ პირობებში ნორმალური ეკონომიური ცხოვრების დამყარება, ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელია. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სამ—ორ თვეში არავითარ სახელმწიფოს არ შეუძლია ქარხნები მოაწყოს და მასთან ვაჭრობა მრეწველობა ააყვაოს. ეს ყოველი სახელმწიფოს ძალ-ღონეს აღემატება არა თუ დღეს, არამედ—ცხოვრების ნორმალურ პირობებშიც. (ვეშაპელი ადგილიდან: სოციალისტები შესძლებენ) ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ საქართველოს ფარგლებში სოციალისტური წყობილება ვერ განხორციელდება. ამიტომ ჩვენ ასეთი ექსპერიმენტებს არ ვახდენთ, როგორც ამას სხვები სჩადიან, ჩვენ რეალურ, ობიექტიურ პირობებს მუდამ უწევთ ანგარიშს. ასე ვექცევით ჩვენ დღევანდელ ეკონომიურ პირობებსაც. ბევრ რამის გაკეთება დღეს შეუძლებელია, ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება არავის არ შეუძლია; რაც შეეხება უცხოეთიდან საქონლის შემოტანას, უნდა ავღნიშნოთ, რომ ცოტ-ცოტა შეიძლება შემოვიტანოთ, მაგრამ ათასგვარი დამაბრკოლებელი მიზეზების გამო ნორმალურათ საზღვარ-გარეთიდან საქონლის შემოტანა არ მოხერხდება. დარჩა მეორე გზა— რაც უკვე არის ჩვენ სახელმწიფოში, ის მაინც წესიერათ უნდა იქნას განაწილებული. დღეს კი რაც სურსათ-სანოვაგე და მანუფაქტურაა თითქმის მდიდრებს შორის ნაწილდება, რადგან განაწილებელი რეგულიატორი მყიდველთა ქონებრივი კონკურენციაა. კოჭა ძაფი 20 მ. ფასობს, ღარიბებს ამის ყიდვა არ შეუძლიანთ და რაც ძაფი არსებობს, მხოლოდ მდიდრებში ნაწილდება, ეს უდიდესი სოციალური დანაშაულობაა, მდიდრები ყიდულობენ, სარგებლობენ, ღარიბებს კი ამის საშვალება არა აქვთ. ამ მხრით იმ კანონ-პროექტის გარდა უნდა მიღებულ იქნეს სხვა მრავალი საშვალებები, მაგრამ არც ერთს არ შეუძლია ნორმალური პირობები შექმნას არამედ ხელი უნდა შეუწყოს, რაც მოგვეპოება იმის ჯეროვანად განაწილებას, რომ ღარიბებსაც ჰქონდეს საშუალება შეისყიდონ საჭირო საქონელი. ჩვენ ვსცადეთ პურის მონოპოლიაც, თავისუფალი ვაჭრობაც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სპეკულიაციის წყალობით ცხადია, უკანასკნელი უნდა სასჯელს დაუქვემდებაროთ. გვეუბნებიან, არ შეიძლება გამორკვევა ვინ არის სპეკულიანტიო. მე ვამბობ, როცა სოფლებში პურს აბევებენ, ბაზარში კი არ გამოაქვთ. არის თუ არა ეს სპეკულიაცია? არის. ავიღოთ ჩითეულობა. დღეს ბევრ ალაგას აქვთ გადამალული და ცოტ ცოტა გამოაქვთ და აწეულ ფასებში ყიდიან, რაც შეეხება შალეულობას, საზამთრო მატერიებს, დარწმუნებული ვარ, რომ ისიც საკმარისი არის და გამოიტანენ საზღაპრო ფასებში გასაყიდათ. არის თუ არა ეს სპეკულიაცია?—არის. აი სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომ მთავრობას ქონდეს კანონი, რომ დამნაშავენი (ვინც შემჩნეულ იქნება სპეკულიაციაში, საქონლის გადამალვაში) დასაჯოს. ეს კანონი არის ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს სისტემა მომავალი-კანონების ან სავალდებულო დადგენილებების, რომელსაც მიზნათ საქონლის სამართლიანად განაწილება ექნება. აქ ნაც.-დემოკრატები გვეუბნებიან, ჯერ ნორმალური პირობები დაამყარეთ და შემდეგ შემოვიღოთ ეს კანონიო. დღეს მაჩაბელმა ასეთი რეცეპტიც დაგვიწერა: ჯერ რაზმი უნდა გაწრთვნათ, მოამზადოთ და შემდეგ უნდა მოიხმაროთ ის სპეკულიაციასთან საბრძოლველათო. როცა რაზმის აუცილებლობას ვაკანონებდით, მაშინ კი ამბობდენ სპეკულიაციის წინააღმდეგ კანონი არ გამოგიციათ და რაზმს აარსებთო, ახლა კი წინააღმდეგ: ჯერ რაზმი უნდა მოამზადოთ და შემდეგ უნდა გამოგეცათ კანონები და ყველაფერიო. მე აქ მაგონდება ერთი პროფესორი, რომელმაც ქიმიაც კარგათ იცოდა, ფილოსოფიაც და მათემატიკაც. როცა პროფესორები ქიმიაზე დაიწყებდენ ლაპარაკს, ის ფილოსოფიაზე უპასუხებდა, როცა ფილოსოფიაზე—მაშინ მათემატიკიდან და ასე. სწორედ ასე ემართებათ ნაციონალ-დემოკრატებს. წარმოდგენილ კანონ პროექტში არის ფორმა, რომლითაც სასამართლო იღებს მონაწილეობას სპეკულიაციასთან ბრძოლაში. და ამ მხრივ ის სავსებით დამაკმაყოფილებელია. ის პარტია, რომელიც თავის თავს სახელმწიფოებრივ პარტიას უწოდებს, ამ შემთხვევაში სპეკულიაციის დამცველად გამოდის.

აქ მაჩაბელმა სთქვა, რომ ეს კანონი მარტო გლეხების წინააღმდეგ არის მიმართულიო. ამის თქმა დაუშვებელია. კანონი საერთოდ იწერება. გლეხების მაშინ იქნებოდა, რომ მარტო პურზე ყოფილიყო ლაპარაკი. როგორც ხედავთ, კანონი ყოველგვარ ნაწარმოების სპეკულიაციას ეხება და ამიტომ არც დანაშაული იქნება იმის თქმა, რომ ეს გლეხების წინააღმდეგ არის მიმართულიო. გლეხები გვიმალავენ პურს იმ მიზეზით, რომ ვაჭრები საქონელს არ გვაწვდიანო. ვაჭრები სწევენ ფასს და იმიზეზებენ პური გაძვირდაო ჩვენ, როგორც კანონმდებლები, ვამბობთ: ორივე ეწევა ბოროტმოქმედებას და ორივე დაისჯება თანაბრათ, ვინც საქონლით სპეკულიაციაში იქნება დაჭერილი. გლეხი, ვაჭარ-მრეწველი და ყველა აქ გათანასწორებულია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი ამაში ჩვენს მხარეს იქნება. ნაციონალ-დემოკრატების მიერ ამ კანონის წინააღმდეგ გამოლაშქრება და გლეხების მომიზეზება კი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ სწორედ მიგვიგნია მტკივან ადგილისთვის. სპეკულიაცია ანგრევს სახელმწიფოს, თავისუფლებას, ძირს უთხრის საზოგადოებას, მისი დღევანდელი სახე—უსაშინელესი ბოროტმოქმედებაა და ვინც მის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს მხარს არ დაუჭერს—იგი მათი თანაზიარია, მათთან ერთად სახელმწიფოს დანგრევის მონაწილეა.

მსჯელობა სიგვიანის გამო შემდეგ სხდომისათვის გადაიდო.

აკ. ხ—უა.

*) ამ კანონ-პროექტს ცალკე მოვათავსებთ.

# მთავრობაში

იუსტიციის მინისტრის მოხსენებით, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, ხსენებული სასამართლოს წასული 1917 წლის გაუსტუმრებელი საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯების დასაფარავად, გაეხსნა 13,142 მანეთისა და 36 კაპ. კრედიტი ათ—მილიონიან ფონდიდან.

სოხუმის ოლქის სასამართლოს მოხელეთა სამსახურის საჭიროებით გამოწვეულ სამგზავრო ხარჯების დასაფარავად, იუსტიციის მინისტრს გაეხსნა 5000 მანეთის დამატებითი კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან.

სამოსამართლო პალატის თავმ… მარეს მიეცა 311 მანეთი 90 კაპ. მილიონიან [illegible] წევრის [illegible] ჯამაგირით [illegible] ყოფ[illegible].

გამომძიებელ ჯომარჯიძესა და მ… გებელ მოსამართლე მაჭავარიანს ეთქვა დამატებითი ჯამაგირზე და თანავე დადგენილ იქნა მოისპოს … პრივილეგიები, რომელნიც ჰქონდა… ნიჭებული რუსეთის მთავრობის დანიშნულ მოხელეებს კავკასიაში, …გორც განაპირა ქვეყნებში.

დადგენილ იქნა ყველა კანონებ… სავალდებულო დადგენილებანი ამ… დან იბეჭდებოდეს „საქართველოს რ… პუბლიკაში“ რუსულ ენაზედაც და… ბითი ფურცელზე.

სახალხო განათლების მინისტრის მ… სენებით მთავრობამ დაადგინა თე… არა ქართველ მოქალაქეთ ნება … თოს გახსნან გიმნაზია თავისი ხარ… თანახმად საერთო წესისა.

იმავე მინისტრის ამხანაგის მოხს… ბით დადგენილია ხონის საოსტატო მინარიასთან გაიხსნას ორი პარალე… კლასი და სათანადო ხარჯების დას… რავად გაეხსნას განათლების მინის… 18,625 მ. კრედიტი 10 მილიონიან… დიდან.

გაეხსნას სახალხო განათლების … ნისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 17… მანეთის კრედიტი ბათუმის გიმნა… ლიკვიდაციის დასასრულებლად.

გაეხსნას სახალხო განათლების … ნისტრს 10 მილ. ფონ. 5,900 მ. კრე… ტი ქუთაისის ქალთა საზოგადო… საპროფესიო სკოლის დასახმარებლა…

ფინანსთა მინისტრის მოხსენე… მთავრობამ დაადგინა: მიეცეს გერმა… დელეგაციას სესხად ერთი მილიონი … ნეთი 10 მილ. ფონდიდან.

მოისპოს სათადარიგო ჯარისკა… ოჯახებისეთვის სასურსათო დახმარ… მიცემა და სათანადო კრედიტი დაი… როს.

ბათუმის პორტის დაწესებულებ… ბათუმში დარჩენილ მოსამსახურეთ მი… ცეს მხოლოდ 1918 წ. მარტის ჯამაგ… რი, ვისაც ის მიუღებული დარჩა.

მიეცეს ფინანსთა მინისტრს 10 … ლიონიან ფონდიდან 36,710 მ. სახაზ… პალატის ხაზინის მოსამსახურეთა … ხარჯის ამკრეფ ინსპექტორთა და… კმაყოფილებლათ.

მიწათ მოქმედების მინისტრის მოხ… ნებით მთავრობამ დაადგინა:

დაევალოს მიწათ მოქმედების სამინ… ტროს კანონპროექტი თფილისის გუბ… ნიის საადგილ-მამულო კომიტეტის … გამგეობის გაუქმების შესახებ, გადაი… შავოს იმ მიზნით, რომ გაუქმებული … ნეს ცენტრალური გამგეობაც.

# გერმანიაში

VII

გერმანიის რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციებთან მოლაპარაკების შემდეგ ვინახულე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეუდარებელი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი და ზოგიერთი ამხანაგები. სხვათა შორის, ვინახულე კარლ ლიბკნეხტის ოჯახობა და ლიბკნეხტის ძმები.

ფრანც მერინგის, როზა ლუქსემბურგის და კლარა ცეტკინის ნახვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ჩემს იქ ყოფნის დროს ისინი ბერლინში არ ყოფილან, გერმანიის სხვადასხვა სამეფოებში იმყოფებოდენ და მათი იქ ნახვა კი სხვადასხვა მიზეზების გამო ძნელი მოსახერხებელი იყო. რაც შეეხება კარლ ლიბკნეხტის ნახვას, იგი, წინააღმდეგ ბალშევიკების განცხადებისა, თითქოს იგი კატორღიდან გაენთავისუფლებით და ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თავმჯდომარეთ აერჩიოთ, მტკნარი სიცრუე გამოდგა,—იგი ჩემს დროსაც ციხეში იჯდა. მისი ნახვა მხოლოდ მახლობელ ნათესავებს შეეძლო. კარლ ლიბკნეხტის განთავისუფლება ბალშევიკების ფანტაზიის ნაყოფია და ციხეში მჯდომ კაცის ნახვა, ისიც უცხოელის მიერ, მეტათ მოუხერხებელი საქმე იყო. ასე რომ, თფილისელი ბალშევიკების მიერ ექსტრა გამოცემულ ბიულეტენებში, სადა ისინი მე ცოდვათ მითვლიდენ, თუ რატომ არ ვნახე ლიბკნეხტი და მას ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯის შესახებ რჩევა-დარიგება არ ვსთხოვე, ჩვეულებრივი, ბალშევიკური უსამართლო მოთხოვნაა.

კარლ კაუცკი მე და ედუარდ ბერნშტეინს უნდა გვენახა, დროც დავნიშნეთ.

ვიდრე კ. კაუცკის ვნახავდით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანო „ფორვერტსის“ რედაქციამ ერთი თანამშრომელთაგანი ბინაზე გამომიგზავნა ვრცელი და დასაბუთებული ინფორმაციის მისაღებათ. „ფორვერტსში“ ისედაც ბევრი იბეჭდებოდა ამიერ-კავკასიის, განსაკუთრებით კი, საქართველოს შესახებ. მას მერე, რაც ჩვენი ოფიციალური დელეგაცია ბერლინს მივიდა და სხვადასხვა სახელმწიფოებს ნოტით აცნო, რომ 1918 წელს, 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადაო,—ეს ამბავი მთელ ბურჟუაზიულ პრესაში იყო აღნიშნული და ყველა გაზეთებმა ჩვენს რესპუბლიკას მეთაური წერილები უძღვნა. სხვათა შორის, „ფორვერტსის“ რედაქციამაც რამდენიმე წერილი უძღვნა. როგორც ბურჟუაზიულ პრესაში, ისე „ფორვერტსში“ ჩვენ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას მოითხოვდენ.

რა თქმა უნდა, „ფორვერტსის“ რედაქციაც მოვალეთ ჩასთვლიდა თავს ჩვენ ვენახეთ, საქართველოს შესახებ ყველაფერი პირველი წყაროდან გაეგო.

თანამშრომელს ყველაფერი ვრცლად ვუამბე, რაც მან დასწერა და მეორე დღეს 16 ივნისის ნომერში ვრცელი წერილი მოათავსა. დღიდან რუსეთის რევოლიუციის დაწყებისა უკანასკნელ დღემდე დაწვრილებით იყო ყველაფერი მოთხრობილი. გაზეთის თანამშრომელი იწონებდა ჩვენ პოლიტიკურ ხაზს, სხვათა შორის წერილის ბოლოს აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული კლასების ზოგიერთი წრეები და დიდი მემამულეები სოციალისტური პარტიებისა და სოციალისტური მთავრობის აგრარიული და სოციალური კანონმდებლობით კმაყოფილები არ არიან და მონარქიული წყობილებისადმი მისწრაფებას იჩენენო, მაგრამ სოციალ დემოკრატიული და საზოგადოთ სოციალისტური პარტიები ისე ძლიერები არიან, რომ ადგილობრივი რეაქციონერები თავისი საკუთარი ძალღონით ვერაფერს შესძლებენ, მათი სურვილი ხალხის უმრავლესობის საწინააღმდეგოაო.

ხსენებულ წერილში გარდა ამისა, იყო ზოგიერთი სუბიექტიური ელემენტები შეტანილი, ამიტომ მე იძულებული გავხდი საქართველოს შესახებ სპეციალური წერილი მომეთავსებია. ვისაც კი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის თვალყური უდევნებია, იმას კარგად ეცოდინება, რომ მონარქიული წყობილების მომხრეთა ჯგუფი ჩვენში ერთობ სუსტი და უმნიშვნელოა, მათი რიცხვი ისე მცირე და თითებზე ჩამოსათვლელია, რომ ისინი არავითარ სოციალურ ძალას არ წარმოადგენენ. სერიოზული ამ საგანზე არაფერი გამიგია ჩვენში გარდა იმისა, რომ ზოგიერთა ორგანოს თანამშრომლები და ზოგიერთი პარტიის წევრები კერძო ლაპარაკის დროს რაღაცა და ვიღაცა პრინცზე ლაპარაკობდენ. თვით პრინცის სახელსაც კი ასახელებდენ და გერმანულ სახელი გადაექართულებიათ. იოახიმეს ნაცვლად—იაკინთე. მე მგონია, ეს სურვილი აქედან იქნა ექსპორტათ გერმანიაში გაგზავნილი და შემდეგი დამზადებული სახით იქიდან იმპორტად დაგვიბრუნეს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, არ შემიძლია პრინცის ზღაპარის გარშემო რამდენიმე ამბავი არ გავიხსენო. როცა გენერალმა ფონ-ლოსოვმა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ მეორე ინახულა, ჩვენი დელეგაციის ამბავი და საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მოხსენება გაუკეთა, ლოსოვის სიტყვით, თურმე, იმპერატორს, ანუ კაიზერს საქართველოს და მისი არსებობის შესახებ არაფერი სცოდნია გარდა იმისა, რომ მისთვის მის პაპას, როცა იგი ექვსი თუ შვიდი წლისა ყოფილა, საქართველოს შესახებ რაღაცა უამბნია, როცა მისი პაპა რუსეთის იმპერატორის დაგვირგვინების დროს პეტროგრადში ყოფილა. ზეიმს, სხვათა შორის, საქართველოს დედოფალიც დასწრებია. როგორც ისტორიკოსებმა გამოიკვლიეს, საქართველოს კი არა, სამეგრელოს დედოფალი იქნებოდა და ამ დედოფალს არა ჩვეულებრივი სანახაობის გვირგვინი სდგმია თავს. კაიზერს ყმაწვილობისას საქართველოს შესახებ მეხსიერებაში მხოლოდ ეს ჩარჩენია და ქართველი ერის შესახებ მხოლოდ ეს სცოდნია. როცა ფონ-ლოსოვს შენიშნეს: „ეს ხომ სიმბოლო არ არის იმისა, რომ ჩვენ შემდეგში პრინცი დავისვანო“, მას სიცილით ეთქვა: ეს როგორ შეიძლებაო. შეუძლებელი ქვეყანაზე არაფერია და ამ ფაბულას სხვა სფეროშიაც ქონია ნიადაგი მოპოვებული.

ამ ერთი წლის წინათ, ვგონებ, რევოლუციის დაწყებამდე, ქართველი სამხედრო ტყვეების ბანაკი, როგორც ეს ერთმა ქართველმა სამოქალაქო ტყვემ მიამბო, ვილჰელმის მეუღლეს—კაიზერინს თავისი უმცროსი ვაჟით იოხიმეთი დაეთვალიერებია. მეფის ოჯახს თან ახლდა თურმე მორიგი გენერალი იქვე ყოფილიყვნენ ზოგიერთი თავისუფალი ქართველები. სტუმრები სამხედრო ტყვეებს ურჩევდენ მოხალისეთა ლეგიონები შეედგინათ. სხვათა შორის, პირდებოდენ ჯილდოთ საქართველოს განთავისუფლებას. ბოლოს სიტყვა წარმოეთქვა მორიგ გენერალს, — პრინც ადიუტანტს. მას იგივე ეთქვა, რაც უმაღლესმა სტუმრებმა სთქვეს. სხვათა შორის, დაემატებია: თქვენ სამშობლოს გავანთავისუფლებთ და მეფედ პრინცზე მიუთითებია, ამას დაგისვამთო. როგორც იმავე სამოქალაქო ტყვემ გადმოგვცა, ქართველ სამხედრო ტყვეებს დიდი უკმაყოფილება გამოეცხადებიათ, რისთვისაც გერმანიის სამხედრო მთავრობას „პროტესტანტების“ წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღო.

ერთი სიტყვით, „პრინცის საკითხი“ საქართველოშია მომზადებული და იგი გერმანიის დაინტერესებულ წრეებში ქართველებმავე პოპულიარული გახადეს. ამ გარემოებით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატმა დავიდმა რეიხსტაგის კათედრიდან გერმანიის მთავრობას უკიჟნა, რომ თქვენ პრინცების დიდი სავაჭრო სახლი გაგიხსნიათ და ქვეყანას მით აბედნიერებთო. ერთი ასეთი პრინცით გინდათ ახლა საქართველოც გააბედნიეროთ,—მაგრამ ვერ შესძლებთო.

იქვს გარეშეა, პრინცის გარშემო მუშაობა „ფორვერტსის“, რედაქციამ და მისმა თანამშრომელმაც იცოდა, ამიტომაც იყო, წერილის ბოლოს ამ საკითხს შეეხო და იგი გაბედულად დაგმო:

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ მთავარ საგანს დროებით ავცდი; „პრინცის საკითხი“ მისმა მოტრფიალეებმა იძიონ და ჩვენ ისევ ჩვენს საგანს დავუბრუნდეთ.

დანიშნულ დროს ედუარდ ბერნშტეინის ბინაზე მივედი და ორივენი კაუცკისთან წავედით. მგზავრობა გვარიანი მანძილით მიწის ქვეშ მოსიარულე ტრამვაით მოგვიხდა. გზაში ლაპარაკის ხასიათი დამეკარგა, პირ მოკუმული ვიჯექი. სამაგიეროდ ედუარდ ბერნშტეინი კი უფრო ლაპარაკის გუნებაზე იყო და სხვადასხვა უმნიშვნელო კითხვებზე. მუსაიფს განაგრძობდა.

ჩემს მისვლამდე, როგორც ედუარდ ბერნშტეინი შემპირდა, თვით ენახა კაუცკი და საქართველოს დამოუკიდებლობისა და ჩვენი პარტიის მიერ გადადგმულ ნაბიჯის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება გაეკეთებია. გარდა ამისა, დამოუკიდებელ პარტიის ზოგიერთ წევრებსაც, როგორც მაგ. ჰააზეს და სხვებს ენახათ კაუცკი და ჩემი მოხსენების შინაარსი გადაეცათ. კაუცკის „ფორვერსტის“ წერილებიც წაეკითხა. ასე რომ, ჩემს მისვლამდე ის საქმის ვითარებას საკმარისათ გასცნობოდა.

შეველი თუ არა, მივესალმე საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით და ვუსურვე მას საერთაშორისო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ ხანგრძლივი მუშაობა. ამის შემდეგ აქაური ზოგ ამხანაგებისაგან პირადი მოკითხვა გადავეცი. სასიამოვნოთ დაურჩა მოკითხვა ვლასა მგელაძისაგან.

პატარა ხნის შემდეგ დავიწყე მოხსენების გაკეთება. კაუცკი დაფიქრებით ყურს უგდებდა. მოხსენების დროს კითხვებს არ იძლეოდა. როცა მოხსენება გავათავე, მან უწინარეს ყოვლისა მკითხა: რას ფიქრობს ნოე ჟორდანია და როგორ უცქეროდა ის თქვენ მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯსო. მე ყველაზე მეტათ მისი შეხედულება მაინტერესებს ამ საგანზეო.

უნდა ვსთქვა, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის სხვადასხვა წევრები უმთავრესად ირ. წერეთელს, ჩხეიძეს და სხვების სახელს ახსენებდენ. კაუცკიმ კი, ნოეთი დაიწყო საუბარი. და ეს კითხვა კაუცკის უმიზეზოთ არ დაუყენებია. ვიღაცამ, ალბათ, კაუცკი დააჯერა, რომ ნოე ჟორდანია და ირ. წერეთელი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ, ხოლო გა… ციონალისტებულმა სოციალდემოკრატებმა ხმის უმეტესობით გაიყვანეს … დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფ… გერმანიის ჯარები მიიწვიესო. მაგრ… მოხსენების მოსმენის შემდეგ მისთვ… აშკარა შეიქნა, რომ ჩვენი ასეთი ნაბ… ჯი აუცილებელი იყო და მას დაეთანხმ… როგორც მთელი პარტია, ისე მისი ლ… დერები ნოე ჟორდანია და წერეთელი…

საზოგადოთ, კაუცკის არ უყვარს ბე… რი და მონოლოგებით ლაპარაკი. ი… უფრო ბევრს ისმენს და შემდეგ მოკლ… და საფუძვლიან დასკვნას აკეთებ… ჩემი მოხსენების შემდეგაც ასე მოიქ… მან მოკლეთ მითხრა: სოციალდემოკრატია ინტერნაციონალური და სოციალ დემოკრატიული პარტიაა, მთელი საუ… კუნის განმავლობაში ამ ნიადაგზე მუშაობს. დემოკრატიული მოთხოვნების გარშემო მუშაობა კი ნიშნავს ერთა თვით გამორკვევის უფლების აღია… რებას. ნამდვილი ინტერნაციონალისტი ის არის, რომელიც, როგორ… თავისი ერისათვის ისე მეორესთვის თვითგამორკვევის უფლებას მოით… ხოვს. ზოგიერთი რადიკალები ერთა თვით-გამორკვევის წინააღმდეგნი არია… ისინი ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია და იგ… სოციალისტურ საზოგადოებაში უნდა გადაწყდესო, მაგრამ მე სხვა შეხედულებისა ვარ. ერთა თვით-გამორკვევის საკითხი ახლავე უნდა გადასწყდეს და სოციალისტურ საზოგადოების დამყარებამდე ყველა დემოკრატიული საკითხები უნდა გადასწყდეს. ასე არ ფიქრობე… ანარქისტები და ანარქისტულათ მოაზროვნე პირები. ერთა თვით-გამორკვევი… მომხრე ვართ და მას მუდამ და ყოველ… თვის ვემხრობით, მით უმეტეს, რომ თქვენში შექმნილა ისეთი პირობები, რომ ერთა თვით-გამორკვევის უფლებ… საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვდა და ამაში ხედავდა თქვენი ხალხი… ფიზიკურ არსებობის უზრუნველყოფას. მხოლოდ ერთ რამეს გირჩევდით: ფრთხილად მოექეცით გერმანიის მთავრობას და დიდ იმედებს ნუ დაამყარებთ მასზე…

ინებულ იქნა მოხსენება და კანონ-ტი მიწ. მოქმედების მინისტრისა ძალთა გამოყენების შესახებ.

---

ედრო მინისტრის მოხსენებით ობამ დაადგინა: გაეგზავნოს 10 ფონდიდან ქუთაისის გუბერნიის რს ანარქიასთან საბრძოლველათ მან.

# ახალი ამბები

**გერმანიის სამხედრო მისია იტ**ნება, რომ ის ღებულობს ფულს იისა და გერმანიის ბანკებში გასა-ათ. ფული მიიღება ყოველ დღე 12 დან 6 ორის ნახევრამდე. გოლოვინის პექტი, საინტენდანტო განყოფილება.

**ჯარში გასაწვევი ახალგაზრდანი.** ქტემბერს თიანეთიდან ამხ. კაკა-ჩამოიყვანა დაახლოვებით 200 კა-ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები. ნი ზურნით მივიდენ სასახლეს-მათ ს.-დ. პარტიის სახელით მიე დავ. ონიაშვილი. ახალგაზრდები ოვინის პროსპექტით გაემართენ სამ-ო ნაწილში.

**გზათა მინისტრის განკარგულება.** ქტომბერს დღის 12 საათზე და-ულია სხდომა გზათა სამინისტროს ბაში ამავე სამინისტროსთან და-ბულ სათერმინოლოგიო კომისიისა. გზათა მინისტრმა შემდეგი ბრძა-დაუგზავნა რკინის გზის უფრო-: რკინის გზის კომიტეტებს „თანახ მთავრობის დადგენილებისა, ჩამო-მევათ ადმინისტრატიული ფუნქციე-მათ დარჩებათ უფლება და მოვა-ობა პროფესიონალურ საბჭოებისა. ნობებთ რა ამას თქვენ გავალებთ ა უფროსებს სავსებით ისარგებლონ იანთ კუთვნილ უფლებებით და ქვემდებაროთ თავიანთი მოქმედება განკარგულება საქმის საკეთილდღე-იხელმძღვანელონ მხოლოდ გზათა ნისტროს არსებული კანონებით, ინ-უქციებით. ეს ჩემი ბრძანება გამოაც-ეთ ყველას საყურადღებოთ და მი-თ ზომები, რომ აუცილებლათ იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

**ქურდების შეპყრობა.** 10 სექტემ-ს გარნიზონის უფროსმა დააპატიმრა თული სამთო არტილერიის 19 ჯა-კაცი სახაზინო საქონლის მოპარვი-ვის.

**პური.** უახლოეს დროში უკრაი-ან და რუმინიიდან მოელიან დიდ-ლ ხორბალს, როგორც ადგილობრივ ხოვრებთათვის, აგრეთვე გერმანელე-ათვის.

**საზებიო ინსტიტუტში.** 6 სექტემ-ს საზებიო ინსტიტუტში სამწუხარო ვი მოხდა. ავადმყოფი ქალი, რომე-ც სიცხით იყო ავათ, მეორე სართუ-დან უეცრათ გადმოვარდა და იქვე ლია სული; ასეთ მოვლენას, როგორც მოგვცემენ სხვა დროსაც ჰქონია ად-გილი. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ეს სამწუხარო მოვლენა აიხსნება ადმინისტრაციის უმოქმედობით. ნუთუ ასეთ მძიმე სიცხიან ავათმყოფთან არავინ უნდა იყოს მორიგე? როგორც ამბობენ, უმოქმედობის მსხვერპლი ლ ორ-ბთაგანია, არავინა ყავს დამცველი და ადმინისტრაციაც ცდილობს მიაფუჩეჩოს.

**ხალილ-ფაშამ** ინახულა სომხეთის კათალიკოსი, რომელთანაც ჰქონდა მოლაპარაკება სომხეთში მცხოვრებ სომხების და მაჰმადიანების შორის მშვიდობიანობის დამყარების შესახებ.

**კავკავის ამბები.** კავკავიდან ჩამოსული მოგვითხრობს, რომ ქალაქი ბოლშევიკების ხელშია. ბოლშევიკები ყოველ დღეს სჩხრეკენ ბინებს და რაც ძვირფასია თან მიაქვთ. ძლიერ გავრცელებულია საერთოდ ძარცვა-გლეჯა, ქალაქში დიდი სიძვირეა, გირვანქა პური ღირს 5 მ.

**ხოლერა.** უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 23 ხოლერიანი და 11 ხოლერის ნიშნებით ავათმყოფი. საეჭვო განყოფილებიდან გადაიყვანეს ხოლერიანებში 6. მორჩა 5, მოკვდა 18. 10 სექტემბერს სულ იმყოფებოდა 113 ხოლერიანი და 15 ხოლერის ნიშნებით ავათმყოფი.

**სეტყვა.** ლორში და მის მახლობელ ადგილებში დიდ სეტყვას და ნიაღვარს ჰინახული სულ წაუხდენია. ზარალი დიდია.

**არჯევანიძის სკოლაში,** წაღვერის ტყეში, სეზონი გათავდა 7 სექტემბერს. სკოლაში სულ იყო 28 ბავშვი, მათ შორის 17 ქალი და 11 ვაჟი; ქართველი სკოლაში იყო 8, რუსი—8, სომეხი—9, ოსი—1, პოლონელი—1 და იტალიელი—1. დღის განმავლობაში ბავშვები ერთობოდენ: ძერწვით, გიმნასტიკით, პლასტიკურ ცეკვით, გალობით და ქსოვით. უვლიდენ ცხოველებს და ფრინველებს. ხელმძღვანელობაში არჯევანიძეს ეხმარებოდენ: დები შარაშიძეები, მარო გეწაძის ქალი და ნ. პერფილიევისა. ბავშვები შესამჩნევად მოკეთდენ, მოიმატეს წონაში 6—18 გირვანქამდე. ბავშვებს სკოლაში ინახავდა თფილისის თვითმართველობა.

**სამეგრელოს** დამხმარე კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, გადადებულ იქნას სამეგრელოსათვის საექიმო მოწყობილობები, ვინაიდან სამეგრელოში ძლიერ გახშირებულია ავათმყოფობა.

**ექიმთა მორიგეობა ღლისით.** ექიმთა ჯგუფმა დააწესა მორიგეობა ღლისითაც. მცხოვრებთ ყოველ დროს შეუძლიანთ მოიწვიონ ექიმები. დროებითი ბინა: გრიბოედოვის 13, ტელეფონი 13—09.

**პირველ რაიონის მუშათა კლუბში** დღეს წაიკითხავს ლექციას ამხ. არსენიძე ტომას მორის მოძღვრების შესახებ. ხვალ, პარასკევს, იმავე კლუბში წარმოდგენილი იქნება „და ძმ“ შსახიობი სიმონიძის მონაწილეობით.

**რკ. გზის სამართველოდან** ს. დ. პარტიის წევრებმა მომავალ კრ. გზის ყრილობაზე კანდიდატებათ წამოაყენეს მელიტონ ფერაძე, ვანო ნაცვალოვი, ვლადიმერ კანდელაკი, ლავრენტი ასათიანი, ერმალოზ დიდიძე, ლუკა ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე გოგვაძე და გიორგი წილოსანი. სამართველოს პარტიის წევრები და კოლექტივი მოუწოდებენ ყველას, მისცენ ხმა ამ სიას.

**გაძარცვა.** ღამით 1 სექტემბერს 10 ს. მიხეილის ქუჩაზე ოგანეზოვის ბინაზე შევიდენ შეიარაღებულნი ბოროტმოქმედნი და წაართვეს ნივთები და ფული 19 ათასი მანეთის.

— ფოსტის მოხელე იაკოშვილის ბინიდან ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს 15 ათასი მანეთის ნივთი და ფული.

**კატორღის მისჯა.** სამტრედიის ტრიბუნალმა ცხრა წლის კატორღა გადაუწყვიტა პირველ პოლკის ჯარისკაცს ვლადიმერ შენგელიას, იმიტომ, რომ ის თავის ნებით ჩამორჩა ეშელონს და სახლში დაბრუნდა. დასჯილის მშობელთა თხოვნა გადაწყვეტილების გადაშინჯვის შესახებ სამხედრო მინისტრმა არ შეიწყნარა.

**ქურდობა.** ქართულ მე 10 პოლკის ჯარისკაცებმა ა. ჯავახოვმა, ერ. ტერ-არუთინოვმა და ს. აგაპოვმა პოლკის „ცეიხ გაუზი“ გაჰქურდეს.

**გორის სასტატო** სემინარიაში შემსვლელთა თხოვნები მიიღება 24 ენკენისთვემდე ახ. სტ.; მისაღები გამოცდები ყველა კლასებში მოხდება 25—29 ენკენისთვეს.

მე 4 რაიონის კოლექტივი უკანასკნელათ მიმართავს თხოვნით იმ წევრებს, რომლებსაც საწევრო და გაზეთის ფული არ შემოუტანიათ, დაიჩქარონ ასეთების შემოტანა. წინ აღმდეგ შემთხვევაში პირველნი გამორიცხულ იქნებიან პარტიიდან, ხოლო მეორენი ჩაითვლებიან გაზეთის ფულის მიმთვისებლებათ და მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოქვეყნდება.

ზოგიერთ თფილისის გაზეთებში იყო ცნობა, რომ გერმანელებს საქართველოდან სურსათი გააქვთო, გერმანელთა მისია აცხადებს, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია, მათ არავითარი სურსათი არ გააქვთ.

ბატონ კამკაძეს, რომელმაც 8 ენკენისთვეს სახელმწიფო თეატრში მ. ხუნდაძის ლექციის დღეს, კასაში დასტოვა წაულებელი 28 მანეთი, სთხოვენ მობრძანდეს გოლოვინის პროსპ. № 12 სოციალ-დემ. პარტიის ბიუროში, მოიტანოს კვიტანცია და იკითხოს სინაურიძე.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს. 12 სექტემბერს, სარ. 7 საათზე მე 6 სავაჟო გიმნაზიაში დანიშნულია მე-4 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია 2 რე რაიონის კოლექტივის კრება.

— დღეს საღამოს 8 საათზე ფრეილინის ქ. 11 შესდგება ქართულ გერმანულ კულტურულ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა.

---

# პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.** ლეჩხუმიდან გუბერნიის კომისარი დაბრუნდა. პოლკ. ზაქარიაძეს დაუპატიმრებია აჯ ნყების მეთაურები: კენჭ ძეები, ახვლედიანები და სხვები, რომელთაც ამ დღეებში ქუთაისში ჩამოიყვანენ

ლეჩხუმში სვანებს დაუპატიმრებიათ ლევან დადეშქელიანის მკვლელი, რომელსაც ფეხზე ლევანის ჩექმებიც აღმოჩენია. სვანებს იგი პოლკ. ზაქარიაძისთვის წარუდგენიათ.

სამიწად მომქმედო სამინისტრო წინადადებას აძლევს ქუთაისის საგუბერნიო სამამულო კომიტეტს, რათა მან დაუყოვნებლივ გაგზავნოს მიწების მიმღები კომისია ლეჩხუმის და რაჭის მაზრებში.

თანახმათ 14 იანვრის 1918 წ. დეკრეტისა § 2 მუშების და მოსამსახურეების მიღება უნდა ხდებოდეს შრომის ბირჟ ს საშვალებით. მაგრამ როგორც გავიგე, ბევრი კერძო და საზოგადო დაწესებულებები არ ასრულებენ დეკრეტის ამ მუხლს.

ამიტომ ვაცხადებ ყველა კერძო და საზოგადო დაწესებულების საყურადღებოთ, რომ დამრღვევი ზემო აღნიშნული დეკრეტის მეორე §. მიცემული იქნება სასამართლოში, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კანონების მოწინააღმდეგე. ხელს აწერს საგუბერნიო შრომის კომისარის თანაშემწე.

გენერალ ართმელაძეს პოლკოვნიკი ანჩაბაძე ატყობინებს, რომ მან 3 სექტემბერს დაიკავა ს. გორდი. ბოლშევიკურ ბანდების უფროსი ხაჟომია (ყოფილი ავაზაკი) 12 კაცით გაიქცა ასხის მთაზე მტერს დაატოვებიეთ სამგზავრო სამზარეულო. ჩვენის მხრით ზარალი არ არის.

— 8 სექტემბერს გორში მოხდა სამაზრო საერობო ხმოსნების არჩევნები. 5229 მოქალაქის მაგივრათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1537 კაცმა. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 389 ხმა; ფედერალისტებმა—474; ეროვნულ-დემოკრატებმა—389 და დამნაკლებმა—286 ხმა.

**სუფსა.** 4 სექტემბერს დააპატიმრეს და ოზურგეთის სამაზრო ციხეში გაგზავნეს სეო მიქაძე, რომელსაც ბრალდება მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გაწევა.

**ჭიათურა.** 18ა გვისტოს შავიქვის საბჭომ დაადგინა: გამოჰყოს სახლის განყოფილება ჭიათურის უმაღლეს დაწყებითი სავაჟო სასწავლებელი ცალკე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლად, რისთვისაც იხსნება ამ განყოფილებასთან მე 4 კლასი (დღევანდლამდის 3 კლასისაგან შესდგებოდა) ამ გვარად, მომავალ სამოსწავლო წლიდ ნ სასწავლებელში იქნება უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც არის თავისუფალი ადგილი მასწავლებლის: ქართული ენის და საზოგადო საგნების; თხოვნები მსურველებმა უნდა გამოგზავნონ ჭიათურაში უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგის სახელობაზე. სწავლა დაიწყება 20 ენკენისთვეს.

---

## ბორჯომის მამული

(გაგრძელება).

შუშის ქარხნის დაარსების მიზანი თავიდანვე იყო დაკმაყოფილება იმ მოთხოვნილებისა, რომელსაც მას ბორჯომის წყლის ექსპორტი უყენებდა. შუშის ქარხანა აქ გახსნილი იყო ამ მიზნით, კერძო პირთა ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ხოლო 1917 წელს მაისიდან ქარხანა მამულის გამგეობის ხელში გადავიდა და მამულის კუთვნილებად გარდაიქცა. ქარხანაში ორი დიდი და ერთი პატარა ქურაა. პირველნი აძლევენ წლიურად ხუთ ხუთ მილიონ ხოლო პატარა 1 მილ. ბოთლს. ეს ქარხანა სრულიად აკმაყოფილებდა ბორჯომის წყლის ექსპორტის ბოთლებში საჭიროებას და წინეთაც კი ბორჯომის წყლის დირექციას საზღვარგარეთით არ უხდებოდა საჭირო ბოთლების შემოზიდვა და ამასთან იაფიც უჯდებოდა. შემოზიდული ბოთლი ეღირდა 12 კაპ. ხოლო აქ გაკეთება უჯდებოდა 5 კაპ. ქარხანა 1918 წლიდან ერთის მხრივ მუშის საკითხის გართულებით და მეორეს მხრივ მასალების კრიზისის გამო დადგა.

პირველ ივნისიდან შემცირებულის მუშის ხელით ამუშავდა ქარხნის პატარა ქურა, რომელიც თვეში 200,000 ბოთლამდის იძლეოდა. რაკი ბორჯომის ბოთლის ბაზარი სრულებით არ იყო და არც ექსპორტისათვის იყო საჭირო, დაიწყეს სხვადასხვა ბოთლების და სააფთიაქო შუშების მზადება. ქარხანამ დაახლოვებით ერთი თვე იმუშავა, რადგან მეტი მაზუთი არ იყო. ამ ერთს თვეში შემცირებულის მაწარმოებელი ენერგიით მუშაობამ 88 ათასი მანეთი წმინდა შემოსავალი მოუტანა მამულს. მას შემდეგ დიდი ცდით შეძენილ იქნა ცოტა ხნის საკმაო მაზუთი, მაზუთი მხოლოდ ათი დღის საყოფი იყო. მიღებულია ზომები რომ მაზუთის ნაცვლად ქვანახშირი იქნას ხმარებული.

რაიც შეეხება მასალებს, რომელიც საჭიროა შუშის საჩარხებლად(?) ყველაფრის შოვნა შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებში: ქვიშა და ცარცი სურამიდან მოდის, ამ მასალების მეორე წყარო არის—ბელაგორი. ანდიზიტი თვით ბორჯომშია საკმაოდ, რომ მომწვანო ფერის შუშა ვამზადოთ და ეგრე სხვა მასალებიც იპოვება ჩვენი ქვეყნის ახლომახლო კუთხეებში. ამ რიგად, თუ ხელი არ შეგვიშალა სათბობი მასალის უქონლობამ, ჩვენ შევძლებთ ლამფის შუშის, ჭიქების, სააფთიაქო და სხვა შუშეულობის მზადებას.

ორი ზემო ჩამოთვლილ ბორჯომის მამულის მრეწველობა—ტყის და შუშის წარმოება გამოწვეულია ბორჯომის წყლის ექსპორტით, მაგრამ დღის დღეობით იმდენად განვითარებულია [illegible] მოების ორთავე დარგი [illegible] ბაზრიანი, რომ [illegible] დებელ დარგს შეადგენს და ერთის წუთით რომ წარმოვიდგინოთ ბორჯომის წყლის ექსპორტის სრული მოსპობა, მაშინაც ეს ორი დარგი სრულიად არაფერს დაკარგავს და არც მამულის მრეწველობას ამ მხრივ არა დასჩნდება რა, რადგან ტყის მრეწველობის და შუშის ნაწარმოებით დიდი ბაზარი და გასავალი აქვს ჩვენში. ბორჯომის წყალს კონკურენტი რუსეთში სრულიად არ ყავდა, როგორც ერთად ერთს წყალს თავის ქიმიურ შემადგენლობით.

„გრანდ-გრილის“ და „ობერცრ ზბრუნდენის“ წყალს თუ ჰქონდა რაიმე საერთო ბორჯომის წყალთან, თორემ არც ევროპაში იყო წყალი რომ ბორჯომის წყალთან რაიმე საერთო ჰქონოდა.

და ამიტომაც ბორჯომის წყლის ბაზარი დღითი დღე დიდდებოდა; 1890 წელს გაზიდულ იქნა 5,130 ბოთლი, ხოლო 1895 წელს კი 319,225 ბოთლი, 1900 წელს—1,132,000 ბოთლი, 1904 წელს—2 056,000 ბოთლი, 191? წელს 7 მილიონი, 1913 წელს—8,500,000 ბოთლი. ამ რიგად ნორმალურ პირობებში ბორჯომის წყლის ექსპორტი საზღაპროთ იზრდებოდა, ხოლო ომის დაწყებით და სხვადასხვა ბაზრების მოწყვეტით დაიწყო მისი ექსპორტის შესუსტებაც. მოგება წმინდა ასე გამოიხატება: 1912 წელს—213680 მან. 1913 წელს 1530601 მ. 1914 წ. 173956 მ. 1915 წ. 232625 მან. ამ რიგად იზრდებოდა ბორჯომის წყლის ექსპორტი და მისი შემოსავალი, ომმა დაანგრია ტრანსპორტი და უცხო ქვეყნების ბაზარს მოგვწყვიტა, ჯერ შეაჩერა ბორჯომის წყლის ექსპორტის წლიური ზრდა და შემდეგ თითქმის სრულიად მოსპო და ისიც გაანადგურა რაც იყო აგებული ამ მხრივ. ხოლო რევოლიუციამ უკანასკნელი სულიც ამოართვა და ის ვიწრო ბაზარიც მოუსპო ამიერ კავკასიის ნაწილების გათიშვით, რომელიც ერთს მილიონამდის წყალს ასაღებდა. ამ დროს წყლის ქარხანაც შეჩერდა. ამ დროს ძველი დამზადებული წყალი 1,200,000 ბოთლი იყო. ჩვენ იმედი გვაქვს ომის გათავებისა, ბორჯომის წყლის ექსპორტის აღდგენაზედაც. მაგრამ შიში სხვა ქვეყნის კონკურენციისა მაინც უნდა ვიქონიოთ. საჭიროა სხვათა შორის წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესობა ახალი აპარატის შეძენით, რადგან ძველი ჩამოსასხმელი აპარატი ბოთლებში წყალთან ერთად ჰაერსაც უშვებს, რომელსაც გემოზე აქვს გავლენა. ეს მანქანა შეგვიძლიან შევიძინოთ გერმანიაში (დრეზდენი და სხვ.)

**შ. იოსელიანი.**

(დასასრული იქნება)

---

ასეთი იყო მოკლეთ კარლ კაუცკის რი საქართველოს დამოუკიდებლობის სახებ.

შემდეგ ვისაუბრეთ სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე,—უმთავრესად ბოლშევიკურ მოძრაობაზე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ძალიან მემძიმებოდა კარლ კაუცკისთან ამ კითხვაზე ლაპარაკი. მიძღვნილდებოდა ჩვენი უდიდესი თეორეტიკოსის წინაშე ბოლშევიკური მოძრაობის მარქსისტული თვალსაზრისით გაკრიტიკება. ვინაიდან მასწავლებელმა უკეთ იცის, თუ რა არის ბოლშევიკური მოძრაობა და რა სახეს ატარებს იგი. მე მხოლოდ გავკადნიერდი და ვკითხე: სურს გავიგო: თვლით თუ არა ბოლშევიკებს მარქსისტებათ და სდგანან თუ არა ისინი ამ ჟამად სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ნიადაგზე თქვა. მან მოკლედ მითხრა: რასაკვირველია, ისინი ასცდენ ნიადაგს და სრულიად უდროვოთ გამოაცხადეს პროლეტარიატის დიქტატურაო. უდროვოთ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება კი პროლეტარიატს დიდ უბედურებას ატეხს თავსო.

მე ამ დროს შევნიშნე: თქვენს ასეთ შეხედულებას ბოლშევიკები ანგარიშს არ უწევენ და არც გაუწევენ, ვინაიდან თქვენ ყოფილ მარქსისტს გეძახიან მეთქი. ამაზე მან მშვიდათ ჩაიცინა.—დიახ, მასწავლებელო, თქვენ აქ გაგიღიმათ და მათი ასეთი შეხედულება თქვენი საეჭვო მარქსისტობის შესახებ, ჩვენი, სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ძლიერი საბუთი იყო და როცა კამათის დროს გიმოწმებდით, ისინი მუდამ გვეუბნებოდენ: კაუცკი ახლა მარქსისტი აღარ არის, ის ყოფილი მარქსისტიაო.

ახლა ლენინმა ხომ მთლად მოსპო უდიდესი თეორეტიკოსი და მას მარქსიზმის „გამრუდელ“ მოღალატეთ სთვლის. საზოგადოთ კაუცკი იმ აზრისაა, რომ სოციალიზმის განხორციელება იმ სახით უნდა მოხდეს, რა სახითაც იგი მარქსს კაპიტალში გარკვეული. ხანგრძლივ საუბრის შემდეგ სახლში დავბრუნდით. გზაში ბერნშტეინი მეუბნებოდა: კაუცკიმ სამართლიანად და საფუძვლიანად შეხედა თქვენს საქმესო.

ამის შემდეგ მე ოფიციალურად ალარავინ მინახავს. შემთხვევით თუ ვისმე შევხვდებოდი და იმათ დავუწყებდი ლაპარაკს. შემთხვევით რეიხსტაგის სხდომების დროს ედუარდ ბერნშტეინმა „ლეიპციგის ფოლკს ცეიტუნგის—დამოუკიდებელთა ორგანოს ერთ ერთი რედაქტორთაგანი გამაცნო და იმასთან მქონდა საუბარი ჩვენს შესახებ. იმანაც მოიწონა ჩვენი ნაბიჯი და შემპირდა დასახელებულ ორგანოში ჩვენ შეხედულებას გამოვსთქვამო. ვინახულე აგრეთვე კარლ ლიბკნეხტის ძმები და ოჯახობა.

ჩვენს ე. ა. ბერნშტეინს სიძე ჰყავს ექიმი. იგი ბერლინის საავათმყოფო კასების საექიმო ნაწილში მსახურობს და ცნობილი სოციალ დემოკრატია. იგი თავისი შეხედულებით უფრო კარლ ლიბკნეხტის ჯგუფს უახლოვდება. ამასთან დიდი მეგობარი და ნაცნობია კ. ლიბკნეხტის ოჯახის. ერთ საღამოს მასთან მომიხდა ყოფნა. აქვე შემთხვევით შემოვიდა კარლ ლიბკნეხტის ძმა (პროფესიით ვექილია). ერთმანეთს გავეცანით, მთხოვა შემევლო მის ოჯახში. მეორე თუ მესამე დღეს მე და ერიკ ბერნშტეინის სიძე თავისი მეუღლით ვეწვიეთ ლიბკნეხტის ოჯახობას. იქ იყვნენ კონი და რამდენიმე მოწინავე მუშა. საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ვისაუბრეთ სხვადასხვა კითხვებზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მათ კარგათ იცოდენ და ეს საკითხი არ გაუხდიათ. პირ იქით, ისინი ამბობდენ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდ ნ რუსეთის ძველ ჩარჩოებში დარჩენა შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, იქ უდიდესი რევოლიუცია მოხდა და ერთა თვითგამორკვევას სამართლიანი გზა უნდა მისცემოდაო.

კამათი უმთავრესად ბოლშევიკების გარშემო სწარმოებდა. განგებ მე აქ მის რძალს, როგორც კი შეველ ვკითხე: სად არის კარლ ლიბკნეხტი, რატომ იგი ჩვენს შორის არა სჩანს მეთქი. მან მიპასუხა: განა თქვენ არ გაგიგიათ, რომ იგი დიდი ხანია დაჭერილია და თითქოს სახელმწიფოებრივი ღალატისთვის კატორღაში ზისო. კი, გამიგია, მაგრამ მერე ხომ გაანთავისუფლეს მეთქი. ამ სიტყვებზე ყველამ ყურები აცქვიტეს და ერთხმათ შემეკითხენ, ვინ გითხრათ ეს უცნაური ამბავი, ვინ მოჰყრაო? მერე ვუპასუხე: ამ რამდენიმე თვის წინად ჩვენში ბოლშევიკური გაზეთები ერთ არშინიან ასოებით მთელი თვის განმავლობაში ბეჭდავდენ, რომ კარლ ლიბკნეხტი ხალხმა ციხიდან გაანთავისუფლა, იგი ამ ჟამათ ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თავმჯდომარეა და გერმანიაში უკვე დაიწყო სოციალისტური რევოლიუციაო. ამ სიტყვებზე სიცილ-ხარხარი ასტყდა. მე დავსძინე: თქვენ გეცინებათ და ამას კი ბოლშევიკები ჩვენ, სოციალდემოკრატების, წინააღმდეგ ძლიერ საბუთად აყენებდენ და „კონტრრევოლიუციონერებს“ გვარწმუნებდენ, როგორც ჩვენში ისე გერმანიაში სოციალისტური რევოლიუცია დაიწყოვო. შეუგნებელი ხალხი მათ უჯეროდა და ბოლშევიკური ჭორი სიმართლედ მიაჩნდათ.

ჩემი ასეთი შეკითხვა კარლ ლიბკნეხტის შესახებ ერთგვარი ტონის მიცემა იყო, რომელმაც კამათი გამოიწვია ბოლშევიკურ მოძრაობის შესახებ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბკნეხტის ჯგუფს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოლშევიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს. ესენი ოდნავ არ იზიარებენ ბოლშევიკურ ანარქიზმს. ისინი უჭერენ მხარს ბოლშევიზმს იმდენათ, რამდენათაც მის წინააღმდეგ ბურჟუაზიული საზოგადოებაა —განსაკუთრებით კი გერმანიის, ამხედრებული. ამ ჯგუფს არ სურს ბოლშევიზმის სახით დასცენ სოციალიზმის პრესტიჟი. გარდა ამისა, ისინი მარქსის მიერ თქმულ მოსაზრებას ემყარებიან: ყოველ რევოლიუციონურ მოძრაობას მხარი უნდა დავუჭიროთო. კომუნისტები მარქსიზმის ნიადაგზე არ იდგენ, მაგრამ მარქს-ენგელსი მათ მხარს უჭერდაო.

ამის შემდეგ დაიწყო ციტატებით ბრძოლა. მე გავახსენე მარქსის აზრი, როცა მან გაიგო, რომ ინტერნაციონალის ზოგიერთი ფრანგი ამხანაგები პარიზში წავიდენ, რათა იმ დროებითი მთავრობა ჩამოეგდოთ, მარქსი ენგელსს სწერდა: ფრანგი ამხანაგები წავიდენ, რათა სისულელე მოახდინონო.

რასაკვირველია, ჩვენ არ შევუდგებით აქ დაწვრილებით გადავცეთ ჩვენს მკითხველებს ყველა ის, რაც იქ ვილაპარაკეთ. მარქსიზმის დახმარებით მათ ვერ შესძლეს ბოლშევიკების უტოპია ანარქიზმის გამართლება. და თვითონაც ამბობდენ, რომ ბოლშევიკები მარქსიზმს მოშორდენო.

რაც შეეხება იმ მოწინავე მუშებს, რომლებიც იქ იყვნენ, ისინი უფრო კითხვას რაციონალურათ აყენებდენ. და როცა დაწვრილებით იგებდენ, თუ ბოლშევიკები რა პირობებში, რა გვარ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში ანხორციელებდენ ბოლშევიკურ სოციალიზმს, პირდაპირ გაკვირვებაში მოდიოდენ: ასე როგორ იმოქმედებს რომელიმე სოციალისტური პარტიაო.

ამით გათავდა პარტიულ წრეებში ჩემი მოხსენებები და საუბარი. ამის შემდეგ კერძოთ დავიარებოდი პარტიულ ამხანაგებში და სხვადასხვა კითხვებზე და მათ შორის ჩვენს დამოუკიდებლობის შესახებ ვლაპარაკობდით. იქაურ ამხანაგებთან ოფიციალური შეხვედრა ევგენი გეგეჭკორის ბერლინში ჩამოსვლამ განაახლა.

ევგენი გეგეჭკორი კონსტანტინეპოლიდან ბერლინში მოვიდა. მისი მოსვლა, ვგონებ, აკაკი ჩხენკელს ჰააზესთვის შეეტყობინებინა და ეთქვა, რომ მას კაუცკის ნახვა უნდაო. მით უმეტეს, საჭირო იყო, რომ კაუცკისთან ერთად ბოლშევიკების ბერლინის ელჩს იოფეს უნდა შევხვედროდით და კაუცკისთან ერთად მოვლაპარაკებოდით საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. მით უმეტეს, გერმანიის მთავრობა მოითხოვდა, რომ რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობას საც ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა. კაუცკისთან შეხვედრა დაინიშნა ედუარდ ბერნშტეინის ბინაზე.

ჩვენ რომ მივედით, კაუცკი იქ დაგვხვდა. იოფე და ჰააზე თავისი მეუღლით შემდეგ მოვიდენ. როცა ყველამ მოვიყარეთ თავი და მაგიდას შემოუსხედით, ვიდრე იოფე მოვიდოდა, კერძო საუბარი გვქონდა. კაუცკი უჩიოდა თავის ბედს, რომ რუსული ენის შესწავლა ვერ მოახერხა. სხვათა შორის, ჩიოდა, რომ არ შეხვდა ისეთი მასწავლებელი, რომ მუყაითად მომქცეოდა და ჩემთვის რუსული ენა ესწავლებიაო. პარვუსი მასწავლიდა, მაგრამ იგი უფრო ხშირად გერმანიულ ენაზე მოლაპარაკეა და პოლიტიკურ კითხვებზე კამათს ვუნდებოდითო. ასევე სჩიოდა ედუარდ ბერნშტეინი. კერძო საუბარში გავატარეთ რამდენიმე წუთი და მოვიდენ კიდეც ჰააზე და იოფე.

კრება გაიხსნა. თავმჯდომარეთ ედუარდ ბერნშტეინი ავირჩიეთ. ვიდრე ევგენი გეგეჭკორი მოხსენებას გააკეთებდა, ჩვენმა ერიკ ბერნშტეინმა კაუცკის მოკლეთ გააცნო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლი რუსეთში და ამიერ კავკასიაში. სხვათა შორის დასძინა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია გერმანიის სოციალ დემოკრატიული პარტიის ტიპისაა და ხალხი ისევე ყავთ გაწვრთნილი, როგორც თქვენო. პარტიული ორგანიზაცია, პარტიული პრესა ისევე ხალხში გავრცელებული, როგორც გერმანიაშიო, ამიტომაც იყო, რომ იქ ბოლშევიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა და ანარქისტულ მოძრაობას იქ ადგილი არ ჰქონებიაო. ერიკ ბერნშტეინის ასეთი აზრები კაუცკისთან გამოთქმული იოფეს არ მოსწონდა და სახეზე უკმაყოფილება ეტყობოდა.

შემდეგ ევგენი გეგეჭკორმა დაიწყო მოხსენება. ყოველ მის წინადადებას სთარგმნიდა ერიკ ბერნშტეინი. მოხსენება შინაარსიანი და ვრცელი იყო. დღიდან რევოლიუციისა უკანასკნელ დღემდე ის, დალაგებით და ქრონოლოგიურად მოუყვა ამიერ კავკასიის სოციალდემოკრატიული პარტიის მოქმედებისა და მის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ჰააზემ განაცხადა: ყველა ეს, რასაც ამხ. გეგეჭკორი გვიამბობს, ამხანაგებისგან, ჩემზე და ერიკზე მოუთითა, გაგვიგიაო, მაინც იმდენათ საინტერესო და ობიექტიური იყო მოხსენება, რომ მას კაუცკი გულმოდგინეთ უსმენდა. ევგენიმ მოხსენებას დაუკარგა ფრაქციული ხასიათი და მიუდგომელი სისწორით გადმოსცა საქმის ნამდვილი ვითარება. ეს გარემოება თვით იოფემაც აღნიშნა შემდეგ თავის სიტყვაში. კაუცკი ნიშნათ თანხმობისა ყოველ გადათარგმნილ წინადადებაზე თავს უქნევდა, ალბათ, თანხმობის ნიშნად. ბოლოს ჩვენი ევგენი როლში შევიდა, თავისებურათ ისე აუმაღლა ხმა, რომ გვერდში მჯდომი ედუარდ ბერნშტეინი ცოტა არ იყოს შეკრთა. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ევგენიმ თავზე ხელები დაიდო და პათეთიურათ შესძახა: უბედურება დაგვატყდა თავს, შეიქნა ისეთი პირობები, ან უნდა ფიზიკურათ გავწყვეტილ იყავით, ანდა დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა. ამ დროს ედ. ბერნშტეინმა გადმოიხარა ჩემსკენ და წამჩურჩულა: უთხარი გაჯავრების კილოთი ნუ ლაპარაკობსო. ბოლოს ასე დაასრულა ევგენიმ მოხსენება: რომელი სოციალისტი იქნება, რომ ჩვენი გადადგმული ნაბიჯი არ მოიწონოს და მას არა სოციალისტური უწოდოსო.

შემდეგ საპასუხო სიტყვა ითხოვა იოფემ. ის ოდნათაც არ შეხებია ევგენის მოხსენებას, მის წამოყენებულ საბუთების გაბათილებას და მოყვა ჩვეულებრივ ბოლშევიკურ დემაგოგიას კაუცკის წინაშე. ჩვენ საქართველო მასხის სურვილის წინააღმდეგ რუსეთს ჩამოვაშორეთ, საქართველოს ხალხი გერმანიის იმპერიალისტებს მივყიდეთო და სხვა ასეთები.

იოფესა და ჰააზეს ეჩქარებოდათ. დროს ნებას არ აძლევდ თ, რომ კამათში სხვებსაც მონაწილეობა მიეღოთ. კრება შემდეგი დროისათვის გადაიდო, მაგრამ შემდეგი კრება, იოფეს მიზეზით აღარ შესდგა და კამათი გაუთავებელი დარჩა.

საზოგადოთ ჩემი და ევგენის კაუცკისთან და სხვა ამხანაგებთან მოხსენების მიზანი იყო გერმანელ ამხანაგებისათვის ჩვენი მდგომარეობა გაგვეცნო და ისინი ჩვენთან ერთად გამოსარჩლებოდენ ჩვენ დამოუკიდებლობას, ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ამ მხრივ მიზანს მივაღწიეთ და გერმანიის ხალხის უმრავლესობაში გვყავს ერთგული მოსარჩლე და მეგობარი.

**ვლ. ახმეტელაშვილი.**

# სოხუმის ოლქში

სოხუმიდან ჩამოსულ ამხ. იოსებ სალაყაიამ მოხსენება გააკეთა სოხუმის ოლქის შესახებ სასოფლო კომისიაში. მან სთქვა: აფხაზეთს ჩვენ თითქმის ვერ ვიცნობთ. იქ მუშაობა ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდება. სხვათა შორის, რელიგიური საკითხიც ბადებს უკმაყოფილებას. ამასვე ხელს უწყობს თავად აზნაურობისა და გლეხების დამოკიდებულობა აფხაზეთში. ასეთმა პირობებმა, უმთავრესად, დაბადა მათში თათრული ორიენტაცია. ეხლა ეტყობა დამშვიდება, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ გარეგნულად მოხდა საქმის ლიკვიდაცია. სამურზაყანო—ეს ერთგვარი ბუფერია და ჩვენც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მას და იქ ვიმუშაოთ. ამ ადგილებში კი ორგანიზაციული მუშაობა სრულიად არ უწარმოებიათ, მხოლოდ ოჩემჩირეში კიდევ არსებობს პარტიული ორგანიზაცია.

5 ამხანაგი პროპაგანდის საქმეს ეწევა. საჭიროა 3 თვის განმავლობაში დახმარება, მერე კი თვითონ შეიძლებენ, როგორც ორგანიზაციის შენახვას, ისე მის გაძლიერებასაც.

სამეგრელოშიაც ასეთივე მდგომარეობაა. საჭიროა იქ 10 პროპაგანდისტი ვიყოლიოთ და ფულითაც დროზე დავეხმაროთ.

# სახალხო გვარდია სამეგრელოში

1 სექტემბერს საღამოთი ჩავედით მატარებლით ახალ-სენაკში. მთელ მაზრას ელვის სისწრაფით მოედო ამბავი გვარდიის ჩამოსვლის შესახებ. დიდი და პატარა ამაზე ლაპარაკობს. ბევრი ცნობის მოყვარე ქალი თუ კაცი ზრდილობიანის კილოთი ეკითხება გვარდიელებს—საიდან ჩამოდით, სად მიდიხართ? რისთვის ჩამოდით და სხვა.

დიდი უმრავლესობა ხალხისა კარგის თვალით უცქერის გვარდიას, მასში ხედავს თავის მხსნელს სოფლის ნაძირალებისაგან, ქურდ-ბაცაცებისაგან, რომელთაგან აკლებულია და აოხრებული სოფელი. მაგრამ ერთი უმთავრესი უბედურება იმაშია, რომ ეს ავაზაკები და ნაძირალები როდი გამოდიან პირდაპირ, ისინი სეზონს უფარდებენ თავიანთ გამოსვლას და რადგან ეხლა მოდაში ბოლშევიზმია, ისინიც ამათი სახელწოდებით გამოდიან და ამით შეუგნებელ გლეხკაცობასაც თავისკენ იმხრობენ. ეს გარემოება ძლიერ აძნელებს მათთან ბრძოლას. ასე იყო და ასე არის დღესაც, თუმცა ზოგიერთ მათგანს უკვე ცხოვრებამ ახადა ფარდა, ამგვარად დაინახა გლეხობის ერთმა ნაწილმა შინაარსი ამ „ბოლშევიკების" რევოლიუციისა" და ის ნელნელა ზურგს აქცევს მათ. მოხდება ხოლმე, რომ გამოფხიზლებული, გონზე მოსული გლეხობა დიდის სიამოვნებით დააღწევდა თავს ამ „სოციალიზმის" წინამორბედთ, მოინდომებენ ხოლმე იმათ განდევნას, მაგრამ გლეხები უკვე მათ მახეში არიან გაბმული და უმნიშვნელო წინააღმდეგობისთვისაც აწიოკებული, გაძარცული, აოხრებული რჩებიან, რის გამო გლეხებიც არჩევენ განადგურების თავიდან ასაცილებლად გაჩუმდენ.

2 სექტემბერი.

დილით, საველე შტაბის შემადგენლობა მარტვილისკენ გაემგზავრა მდგომარეობის გამოსარკვევად. ახალ-სენაკიდან მარტვილამდე (ნაოდალევი) ეხლა თავისუფალია ავაზაკებისაგან. წინ „მოტოციკლეტებით" ტყვიისმფრქვეველები მიგვიძღოდა, გავიარეთ ძველი სენაკი, ბანძა და მივედით მარტვილში.

ხალხი ქუჩებში ბლომად იყო და სალამით გვხვდებოდა გვარდიის შტაბს. ხალხს იმედით ევსება გული, როდესაც ხედავს იმ ძალას, რომელიც ნაძირალებთან საბრძოლველად არის მოსული. გზაში გვიამბეს, რომ სწორედ ღამით სამი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი დასცემოდა სოფ. კოტიანეთს და შეუბრალებლად აეწიოკებიათ რამდენიმე მოსახლე. ძარცვის დროს მათ შეემჩნიათ აივანზე გადმომდგარი ცოლი ალ. ჯოლიასი, ქმარი ამ დროს სახლში არა ყოფილა და რამდენიმე ტყვიით იქვე აივანზე მოეკლათ, რომ დედაკაცს ხელი არ შეეშალა მათთვის. გლეხები შველას მოითხოვენ და დახმარებას მათთან საბრძოლველად, ან იარაღი მოგვეცით და ან თქვენ თითონ დაგვიხსენით მათგანო.

მარტვილის მიმართულებით მოქმედებენ გედევანიშვილის პარტ. რაზმი და ვლ. ჯიბლაძის მეთაურობით გვარდიელნი. აქ რამდენიმე ცალკ-ცალკე ბრბო მოქმედებს. ერთი ხაჟომიას მეთაურობით. ეს უკანასკნელი წმინდა ყაჩაღურ რაზმს ხელმძღვანელობს. ის, როგორც ჰგავს, „სოციალისტურ რევოლიუციამდე" შორს არის, ამისთვის მას არა სცხელა, ის თავის რაზმით სოფლიდან სოფლად დადის და რაც კი წასაღებია ყველაფერს ართმევს და თავისთვის მიაქვს. ზოგიერთ სოფელში მობილიზაციას ახდენს და თავის „შაიკას" ნელ ნელა ზრდის და აძლიერებს. მეორე ბრბო ამ ხანად ს. ბალდაში იმყოფებოდა. ის ბოლშევიკურია და გლეხებში ასეთი აზრი ტრიალებს, რომ ის სოციალიზმს ემსახურება, ამ აზრს არ იზიარებენ მხოლოდ ის გლეხები, რომელთაც ეს მომავალი სოციალიზმი ძვირად დაჯდომიათ, როცა სოციალიზმის სახელით ფულები, თოფი თუ ტყვია წამოღო მისი სახლიდან ამ სოციალისტების ხელში გადასულა.

მესამე „ბანდა" სალხინოში მოქმედებს. ესეც ბოლშევიკურია, მათ სწორედ ისეთი ადგილი აურჩევიათ, სადაც უფრო მეტი ნიადაგი აქვს ამ თავისებურ მახინჯ ბოლშევიზმს. აქ ჯერ კიდევ საშა გეჩეჭკორს ბევრი უმუშავია, ის არა მარტო სიტყვით იმხრობდა ამ ხალხს, ის ფულითაც ბევრს აჯილდოვებდა და მისი „ავტორიტეტით" ეხლანდელი გმირებიც კი სარგებლობენ.

ამ სამ რაზმს, როგორც ირკვევა, ერთმანეთთან კავშირი აქვთ და თანხმობით მუშაობენ. ორ თვეზე მეტია, რაც ვლ. ჯიბლაძის მეთაურობით რაზმი ებრძვის მათ, მაგრამ უკანასკნელი მცირე რიცხოვანია და ამიტომ ვერ მოუხერხებია მათი ხელში ჩაგდება. ეს ბრბოები ძლიერ გაურბიან ბრძოლას და იხევენ მთებისაკენ, გლეხობის ერთი ნაწილი მათ უწევს დახმარებას და კიდევ ის, რომ ან სულ უვარგისია, ან სრულიად არ არსებობს ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელსაც ბევრი დახმარება შეეძლო აღმოეჩინა ჩვენთვის ბრბოების დაჭერაში. ამხ. ჯიბლაძის სიტყვით თითქო მის ორი თვის განმავლობაში მხოლოდ რამდენჯერმე თუ მოუხდა ამ ბრბოებთან ბრძოლა. უმეტეს შემთხვევაში, ისინი ბრძოლას არ ღებულობენ და გარბიან. უკანასკნელათ მას ბრძოლა ჰქონია 1 სექტემბერს ს. ბალდაში, რომელიც აუღია კიდეც და იქიდან გაურეკავთ ავაზაკები. ჩვენი მხრით დაჭრილია ოთხი, მოკლულია 1 აფიცერი.

აქედან შეერთებული რაზმი დაიწყებს მოქმედებას, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ნარწინი.

# მუშათა შორის

**თფ. რკ. გზის დეპოს მუშათა ცხოვრებიდან** 5 სექტემბერს დეპოს წისქვილში დატრიალდა უბედურება. იქნებოდა ასე ღამის 10 ს. წისქვილის „ვალიდან" გადმოვარდა „რემენი" და მისი მოწყობის დროს მუშა კარაპეტ აკოფოვი ასულიყო ზევით და „რემენის" გადაგდების დროს მის „პიჯაკის" კალთას მოედებოდა „ბოლტი", დაეხვია „ვალზე" და მერე გადმოეგდო ძირს, რომლის დროსაც მოსტყდა ხელი. დაშავებული წაიყვანეს რკინის გზის სამკურნალოში. საჭიროა რკინის გზის ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება, რომ კიდევ არ განმეორდეს ასეთი უბედურება.

არ იქნა და არ ეშველა ჩვენი მემანქანეების და მათი თანაშემწეების გამოსწორებას, რომლებიც არ ერიდებიან არაფერს და იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ ადერბეიჯანის მთავრობამ მიჰყო ხელი მათ დატყვევებას. საქმე შემდეგშია: 2 და 3 სექტემბერს, როდესაც სახალხო მატარებელი მისულა სადგურ პოილოში, იქაურ ადმინისტრაციას მოუხდენია ჩხრეკა და ორთქლმავალზე, როგორც გადმოგვცეს, აღმოუჩენიათ რამოდენიმე ფუთი ფქვილი, რისთვისაც იქნენ დატყვევებულნი და გაგზავნილნი განჯაში და დღესაც იქა სხედან ორი მემანქანე და მათი თანაშემწე: მემანქანენი—მურადოვი და ჩლაიძე, თანაშემწე შველიძე. საჭიროა გზათა სამინისტრომ მიაქციოს ყურადღება ასეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევს უკმაყოფილებას მემანქანეთა შორის და შეიძლება უარიც განაცხადონ ბაქოსკენ სიარულზე. არ შეიძლება უყურადღებოთ დავსტოვოთ ბ. კორნიევის მოქმედებაც. ამხ. დან—ამ განაცხადა შემდეგი: როდესაც მე ვბრუნდებოდი განჯიდან, სად. პოილოში ამოვიდა მემანქანე ბ. კორნიევი და შემეკითხა, თუ რა მოგაქვს განჯიდან და ფეხზე ძლივს იდგა სიმთვრალისაგანო. როდესაც ამხანაგი შეკითხებია, თუ რა უფლებით მეკითხებიო, მას უპასუხნია, რომ მე ვარ გამოგზავნილი დეპოს უფროსისაგანო.

მეთვალყურე.

# პროვინცია

**ქარელის რაიონი** (გორის მაზრა). 23 ივლისიდან 25 მარიამობისთვემდე მიმღ. კომ. მოათავა მუშაობა კეხსჯვრის საზოგადოებაში. შეადგინა სულ 15 ოქმი. მემამულეებს დაეტოვათ ხარისხის მიხედვით დაგვარათ —175 დეს. 2340 კ. ს. ჩამოერთვათ —715 დეს. 2292 კ. ს. სახაზინოთ აღმოჩნდა—350 დეს. 785 კ. ს. როცა კომისია შედის სოფლათ პირველ შეხვედრაზე ყველა უნდობლობით ეკიდება. იყო ასეთი შემთხვევა, რომ მიწა არ მოგვცეს და ბოლოს ერთ უპატრონოთ მიტოვებულ სახლში, სადაც ცხვრების სამწყდოვი ყოფილიყო იქ გავათიეთ ღამე, და მეორე დღეს, როცა ხალხი მოგროვდა და აზრები ერთი მეორეს გაუზიარეთ და რაკი გაიგეს კომისიის მიზანი, გულწრფელათ აღვიარეს და სთქვეს, რომ „ჩვენ ბინაც გვაქვს და სხვა საშუალებაცო, მაგრამ, გვეუბნებოდნენ გლეხებს ართმევენ თავადებისაგან ნასყიდ მიწებსო და კომისია ისევ თავადებს უბრუნებს, და ეხლა დავრწმუნდით, რომ ვინც ამას გვეუბნება, ისინი ყოფილა ჩვენი მტრებიო".

ეს მაგ. სხვათა შორის მიტომ მოვიყვანი, რომ მკითხველისათვის აშკარა დასანახი გახდეს, თუ როგორ დაძრწიან სოფელ სოფელ მაწანწალა უპასუხისმგებლო ხალხი და როგორ ხმებს არცელებენ კომისიაზე. სამწუხაროთ, სანამ კომისია არ შედის სოფლათ, მანამ ხალხმა არაფერი იცის კანონის. ხშირად უთანხმოება ხდება ჩამორთმეულ მამულების დასამუშავებლათ განაწილებაზე. მეათედი შემოსავლის გადახდის შესახებ ხალხი ამბობს, თუ გვახდევინებენ, ბარემ დროზე გადაგვახდევინეთო. სახაზინო მამულების გამოძიება ბევრ დროს აკარგვინებს კომისიას, რადგან მათი—სახაზინო ოქმები ძრიელ უწესრიგოთ არის შედგენილი, მასთან ხშირია შემთხვევა, რომ სახაზინო მამულები გარეშე პირებზე მიუყიდნიათ მემამულეებს და ამ ნიადაგზე არის უთანხმოება მყიდველსა და ხიზნებს შორის. 14 მარიამობისთვეს დიდი უბედურება დატრიალდა სოფელ ვედრებაში. ამორჩეული მოხუცი თედე ბოლათაშვილი ვინტოვკის ტყვიით მოჰკლა ამავე სოფლის ჯარიდან დაბრუნებულმა ისაკა წარიაშვილმა. მკვლელობის მიზეზი შემდეგი ყოფილა: კომისიის შეკითხვით ბოლათაშვილმა, როგორც სოფლის ამორჩეულ პირმა აღვიარა თავადის შვილების მამულებიდან სადალო და გაყიდული მამულები. კომისიამ გაყიდულების გამორიცხვით და მემამულის ნორმას გარედ დარჩენილი მამულები ჩამოართვა მემამულეს და გადასცა სახალხო ფონდს და თურმე ამ ჩამორთმეულ მამულში სადალოთ სჭერია რამოდენიმე დღიური მიწა ისაკა წარიაშვილს და რომ გაუგია წარიაშვილს მისი სადალო მამული სახალხოთ გადავიდაო ამ დროს მივარდნილა ბოლათაშვილთან, რომელიც პურს ლეწდა კალოზედ, და უთქვამს რა უფლება ქონდა ჩემი მამულის შესახებ რომ ელაპარაკე კომისიასო, შენ რომ არ გეთქვა მამული საკუთრათ მე დამრჩებოდაო, საცოდავ მოხუცს დაუწყია ახსნა, რომ მამული ნასყიდი არ ქონდა და კომისია არ მოგცემდა ეგრეთ და ისთე სახალხოთ გადავიდა და ხალხი ჩვენ ვართ და ჩვენ ვამუშავოთო, მაგრამ ამ მამაშვილური დარიგებას ამ მხეცზედ არ უმოქმედნია და იქვე ცოლ-შვილში კალოზედ სასიკვდილოთ გაუგმირა გული პატიოსან მოხუცს. შემდეგ სხვებისთვისაც უსროლია, მაგრამ, საბედნიეროთ, არ მოხვედრიათ, მერე გაქცეულა სადაც ბოლათაშვილის შვილი მუშაობდა ურემზედ და ის კი სასიკვდილოთ დაუჭრია, შემდეგ გაქცევა მოუნდომებია, მაგრამ დაუჭერიათ; იქავე უნდა მოეკლათ, მაგრამ მეორე დღისთვის მოუწვევიათ საზოგადო კრება და მთელი ხალხის თან დასწრებით დაუხვრეტიათ. 26 მარიამობისთვიდან 2 ენკენისთვემდე კომისიამ იმუშავა ზღუდერის საზოგადოებაში მხოლოდ ერთ სოფელში, დანარჩენი 25 სოფელი დასახლებულია საერთო საცეციანო მამულებზედ, რომლის მასალები კომისიას ხელთ არ ჰქონდა და არც შეგვეძლო შევხებოდით. ზღუდერში მემამულეები ალიბეგოვები არიან, მაგრამ წვრილი მემამულეები რაიც მტკიცდება იმით, რომ 3 კომლ მემამულეს ჩამოერთვა მხოლოდ 25 დღ. 1930 კ. ს. ქარელის რაიონში ზღუდერის საზოგადოება ყველაზედ მეტი ჯიუტი საზოგადოებაა. ქურდობა, ყაჩაღობა, კაცის კვლა, ყველა ეს ძლიერ ხშირი მოვლენაა. ჩვენს იქ ყოფნაში თუმცალა ერთი კვირა მეტი არ დავრჩენილვართ, მაგრამ, რამოდენიმე ასეთი შემთხვევები მოხდა. დახვდენ ერთ ულარიბეს მოხუცებულს, შარვალი გახადეს 600 მ. ფული წაართვეს, მეორეს, სხვათაშორის ქალამნებიც კი გახადეს თურმე და რამდენი ამისთანა საზიზღრობა, ერთს უცაბედათ გავარდნია ვინტოვკა და 3 კაცი დაუჭრია. იარაღი თითქმის ყველას აქვს როცა შევეკითხე, საიდან შეიძინეთ ეს: დრო იყო ისეთი რომ 3 პურით იყიდდი ვინტოვკას გამოქცეულებიდანო. რატომ არ აიყრით იარაღს და არ აბარებთ მთავრობას თქვა, რომ შევეკითხეთ: აბა, როგორ ავიყაროთო, მაშინ უპატიოსნო კაცები მაინც არ აიყრიან და შემდეგ ხომ სულ დაგვცარცვავენო, თორემ თუ ვინმე საერთოთ იარაღს აგვყრის ეს ხომ მთლათ ბედნიერება არისო. „წინეთ ხშირათ დადიოდა რაიონის კომისარი საზოგადოებაში, ძართავდა კრებებს და გვიხსნიდენ საქმის მდგომარეობას, მაგრამ როცა ის წინანდელი კომისარი გარდაიცვალა, დღეს ჩვენ კაცი ყურადღებას არ გვაქცევსო". შემოჩვეულის ადგილობრივ გლეხებმა. რაიონის კომისარი მართლა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ზღუდერის საზოგადოებას და ეს საშვალებას აძლევს ყაჩაღებს ითარეშონ როგორც უნდათ, რაიონის კომისარი რომ კვირაში თითოს გაივლიდეს თავის მილიციონერებით და ხანდისხან აუხსნიდეთ საქმის მდგომარეობას, დიდი საშვალება იქნება და ნაძირალებიც რამოდენიმეთ დაფრთხებიან და აილაგმებიან.

ი ბოლქვაძე.

**შემოქმედი.** (გურია). შემოქმედის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში წელს 20 ენკენისთვიდან იხსნება მეოთხე ძირითადი და მესამე პარალელური კლასები, სასწავლებელს საკუთარი შენობის და მრავალი სხვა საჭირო საგნების უქონლობასთან ერთად არ მოეპოვება ახლად გასახსნელ კლასებისათვის „პარტები". მდგომარეობა მეტათ უხერხული და უნუგეშო შეიქნა. თითო პარტა სასწავლებელს 175 მანეთი დაუფასეს, რის გადახდა საზოგადოებას, რომელიც მტრის შემოსევით განადგურებულია და სიმშილით სულს ღაფავს, არ ძალუძს. სასკოლო საბჭომ ადგილობრივი ინტელიგენციისამ—პარტების შესაძენათ 19 აგვისტოს გამართა წარმოდგენა, დასდგეს ერისთავისწმინდელის დრამა „სიკვდილი ჩრდილოეთში", ა. ცაგარლისა კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ!", რის ანგარიში ასეთია: შემოსავალი 1956 მან. 74 კაპ. დარჩა 1687 მანეთი. აქედან ადგილობრივ სასცენო ფონდს გადაეცა 87 მან, ერთკლასიან სასწავლებელს 100 მანეთი, ხოლო 1500 მანეთი მოხმარდა უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლისათვის „პარტების" შეძენას.

აჭარელი ხოხო.

**ხ. რუისი** (ქართლი). საზოგადოთ ყველა უშიშოთ დარჩენილი სოფლების ბედი სავალალო შეიქნა.

თუ მთავრობამ საჩქარო ზომები არ მიიღო ტყის მოწესრიგების საქმეში ჩვენ ჩქარა მოწმეები შევიქნებით ქართველ-ოსების შორის დიდ უთანხმოებების. საქმე შემდეგშია: ციციაანთ ტყეს დაეპატრონენ იქ მთებში დასახლებული ოსები. და ნებას არ აძლევენ არავის გამოიტანონ შეშა. ოსები ყაჩაღურათ უხვდებიან ჩვენ გლეხებს გზაში და სძარცვავენ. რამდენიმე რუისელებს წაართვეს ჯაჭვები, ცულები, ფარაჯები, თოკები და სხვა. აგრეთვე წაართვეს ერთ საწყალ გლეხკაცს ერთი ხარი და დაუკლეს, (ამ კაცს უღელ ხარზედ მეტი არაფერი გააჩნდა). ამის შემდეგ უცემიათ ერთ გლეხკაცისთვის კიდევ. 4 სექტემბერს ერთ დიდათ დამაღონებელ და სამწუხარო ამბავს ჰქონდა ადგილი მამასთან ერთად წასულა ტყეში, თბილისელი ამხ. იოსებ მამაცაშვილი, იქ მათ დახვედრია ხუთი ოსი, მოუდევიათ შარი, რომ თქვენ ჩვენი შეშა უნდა წაიღოთო. ამხ. იოსებს აუხსნია მდგომარეობა, მაგრამ ამათ ეს არ დაუჯერებიათ, მისცვივნიან დაუწყიათ ცემა, კეტებით, ხელებით და ფეხებით, თუმცა ამხ. ორჯერ უსვრია რევოლვერი შესაშინებლად, მაგრამ ამასაც არ უმოქმედნია. ძალზე ნაცემი და დასისხლიანებული ამხ. იოსები ქარელში ოქმის შედგენის შემდეგ წაიყვანეს რუისში ურმით, მამა მისი უფრო მსუბუქათ არის ნაცემი. ქარელის რაიონის კომისარმა უკვე შეიპყრო ორი და დანარჩენებსაც დაეძებს.

რუისელები ამ ამბით აღელვებულები არიან და ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. სოფლელებს უშეშოთ გაძლება არ შეუძლიათ, ოსები კი შეშას არ ანებებენ. ეს საქმე მოითხოვს დიდს ყურადღებას, ვისგანაც ჯერ-არს. სოფლელებს სწამთ მთავრობის ძალა და ელიან დრომდე და ვადამდე.

რუისელი.

# წერილი რედ. მიმართ

ნება მომეცით მოვათავსო ორიოდე სიტყვა ხაზინის მოხელეს პასუხად წერილის („ერთობა" № 184). ბ. ხაზინის მოხელის აზრით მექრთამეობამ თფილისის ხაზინაში მიაღწია უმაღლეს წერტილს, რომ არის შემდგარი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობ მე და ჩემს შესახებ საკმარისი საბუთები მოიძებნება. ვითომ მე ხელს ვუფარებდი ბ. ლაშკოს მოქმედებას და იგი ჩემის დახმარებით აწერინებდა ტალონებს ფინანსიურ კომისიის ნებადაურთველად, ვითომ ბ. ხაზინის მოხელემ აღმოაჩინა ბოროტ მოქმედება ბუხგალტერიაში და მე არაფერი ყურადღება არ მივაქციე, უკანასკნელი ბრალდება იმაშია, რომ ჩემის თანაშემწეობით მეშვიდე პოლკის ხაზინადარმა მიიღო 107,000 მანეთი, საერთოდ ამ წერილიდან გამოჭვივის, რომ მე ვარღვევდი ჩემს მოვალეობას და ბოროტად ვმოქმედობდი. ყოველივე ეს მოკლებულია სიმართლეს, ბ. ხაზინის მოხელემ ვერ აღნიშნა ვერც ერთი მაგალითი. ეს ბრალდება ჩემს შესახებ არის მშრალი და ყოვლად მოკლებული სიმართლეს, ეს არის ცილის წამება. პირდაპირი ჭორი. ბ. ხაზინის მოხელეს სურს მომცხოს ჩირქი, მაგრამ მას არ შესწევს ძალა.—მე ვითვლები ხაზინის მოხელედ, თითქმის 35 წ., და ამ დროს განმავლობაში კეთილ სინდისიერად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას, ჩემი სამსახური და მოღვაწეობა ყველამ გარგად იცის, არ ვიცი რად დასჭირდა ხაზინის მოხელეს ჩემი შეურაცყოფა.

მე იძულებული ვარ საქმე ვაწარმოვო სასამართლოში, რათა მივცე ბ. ხაზინის-მოხელეს საშუალება დაამტკიცოს საჯაროდ თავისი ბრალდება. მართალია ეს საქმე სამართალში მიცემულია, მაგრამ თუ პასუხის მგებელი ისურვებს გარჩევის დროს გადვიტანოთ სამედიატრო სასამართლოში.

ლ. ანანიაშვილი.

# ცნობები

პოდპორუჩიკი ევსევი ჩიქვანაია ამა წლის თებერვალში იუწყებოდა ტელეგრამით ქ. ოდესიდან, რომ ის იქ არის. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი არ ვიცით. ვინც რამე იცით, გთხოვთ გვაცნობოთ ან გაზ. „ალიონით", ან და ბარათით დ. ნაოდალევში. პატივისცემით პორუჩიკი თ. ჩიქვანაია.

დავით თოფურია (იგივე გრიგოლია) ცხოვრობდა კიევში მე 5 ბესსარაბიის ქჩ. აგერ მერვე თვე არის მის შესახებ არაფერი იციან მისმა ჭირისუფლებმა და სთხოვენ, თუ ვინმემ რამე იცის, გააგებინოს. ცნობის მოწოდება შეიძლება „ერთობის" რედაქციაში.

# ფოსტა

**სად. ჯუმათი, ყ. ტულუზ.** არ ვიცით, სად იმყოფება.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**

**(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა)** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებათა, სა ბებიო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმზოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

**ექიმი დ. ჯავახიშვილი**

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**ექიმი მ. ფ. ...**

...ილებს ქალების და ...

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

...ილებს სადოსტაქრო ავათმყ... 5—6 საათამდე კვირა დღის გარ... სამართი: დიდი მთავრის ქ. № ... ცეროთა ეკონომიურ საზ. შენობ... დაპირ, სამ. სვანიშვილისა. ტელ. №...

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო** (მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დოხნინი**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ... კლინიკისა ვენაში და პარიზში. მყოფების მიღება ყოველ დღე 9 ...დან 1 საათამდე და 4—7 ნა... ათამდე მიხეილის პროსპექტი (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) ავათმყოფები და საოპერაციები ...ბიან სრულ პანსიონში. ტელეფ.

**სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმ ალექსანდრე დავითის**

**პეპელიასი**

...ილებს კანისა, ვენერიულის და ს... სით ავათმყოფებს (914—606 ის ...პუნება). ავათმყოფთა მიღება 9 საათ. 11 საათამდე და საღამ... ათიდან 7 საათამდე. მიხეილის ...პექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"... დაპირ. ტელეფონი 14—28.

მედიცინის დოქტორი ჟენევის უ...

**მ. გოლდშტეინი**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტ... მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევ... ვერსიტეტის კლინიკისა. **თვალის ავათმყოფობანი.** ... სათვალეებისა. მიღება 12—2 ს... და 4—8 საათამდე ნიკოლოზის № 32.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

...ილებს სპეციალურად—მალარიით... ბა) დამისი შედეგებით დასნეულ... **სისხლის ნაკლებობით, გულისა,** ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან... ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე... მოთი 5—7 საათამდე. ელექტრ... და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ... ზემელის აფთიაქის მახლობლათ.

**მკ. ქალი რ. ზ. ზიშლო-ხაბაშ...**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უ... სიტეტისა და ედინბურგის მედი... რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ... დღე შინაგან, ქალთა და ვენ... **ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით ...** **გებას.** სიფილისის წამლობა ახალ... თოდებით. დილის 10—12 ს. და ... მ... 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის... სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14...

სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფი და ინჟენ. ა. ვ. ა... ნოვისა და გ. ვ. შერმაზანოვის მიერ დაარსებული

**უმაღლესი საინჟენერო კურსები.**

კურსებს მიზნათ აქვს ვაჟთა და ქალთა საშუალო სასწავლებელ კურსდამთ... ბულთათვის მოაწყოს უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელთა პ ირველი კურსის ... საგნების სწავლება, გზათა ინჟენრების ინსტიტუტის პროგრამის მიხედვით, რო... უფრო ვრცელისა და სხვა სასწავლებელთა პროგრამასთან შეფარდებულისა.

უფროსი კურსების სტუდენტებისათვის მოწყობილი იქნება ცალკე ს... ლურ საგნების შესასწავლათ და პროექტების შესადგენათ მეცადინეობა.

ლექტორებათ და ხელმძღვანელებათ მოწვეულნი არიან პროფესორები, ... ლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და საუკეთესო სპეციალისტები.

ყოველ სემესტრის დამლევს, იანვარში და მაისში, მოხდება გამოცდ... მსმენელთ მიეცემათ სათანადო მოწმობა.

თხოვნები და დოკუმენტები მიიღება 24 ენკენისთვემდე რკინის გზის ტ... კურ სასწავლებლის ბინაზე (დიდი მთავრის ქ. 70, კრილოვის ქუჩის გასწ... ყოველ დღე 12—2 ს.

პირველ კურსის საგნების სწავლების ფასი—650 მან.,—350 მან. თხ... შეტანისათანავე და 300—მეორე სემესტრის დაწყებისას.

სწავლა დაიწყება 27 ენკენისთვეს. სწავლა საღამოობით, სამხაზვრო მუ... ბა—დღისითა. სწავლა იქნება რუსულ ენაზე. (2—1)

**თფილისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი**

ამით აცხადებს, რომ

1) ძირითადი განყოფილებები და კლასები (საანბანო, უნცროსი და უფ... სი მოსამზადებელი განყოფილებები და I, II, III. IV კლასები) გაერთიანებ... და ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლება.

2) ყველა პარალელურ განყოფილებებში და კლასებში და აგრეთვე ძ... თად V, VI, VII კლასებში სწავლა რჩება რუსულ ენაზე.

3) მისაღები და ხელახლა გამოცდები დაიწყება 20 ენკენისთვეს დ... 9 საათიდან.

გამოცდების განწესრიგება და ყველა ცნობების მიღება შეიძლება სკ... კანცელარიაში. (2—1)

**განცხადება**

ფოთის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1918 წ. 25 სექტემ... შუადღის 12 საათზე ახალი დროით, ქ. ფოთში, ქალაქის გამგეობის დარბა... მოხდება **შეჯიბრებითი ვაჭრობა.** გაიცემა იჯარით ექვსი თვის ვადით, ქალ... განკარგულებაში მყოფი 11 პატარა ზომის მატორიანი გემი და სამი „ბარ... დაწვრილებით პირობების და თვით გემების განხილვა-დათვალიერების მსურ... მა უნდა მიმართოს ქალაქის გამგეობას. **ფოთის ქალაქის გამგეობა.** (3...

**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**